ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 9 მაისი, 2023 №89 (9125) ფასი: 80 თეთრი



გვ.5

იზა ომაძე: „ორი სულგაყიდული ახალგაზრდის დაპატიმრება არ არის პასუხი ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაზე“

პროკურორი: „ბადრი ესებუა 2008 წლიდან აყვანილია ამბულატორიულ აღრიცხვაზე ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“



გვ.5

# „გახარიამაც და „ლელომაც“ ჭკუა იხმარონ და გაერთიანდნენ. სახელიც მზადაა: „ლელო საქართველოსთვის“




გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „მელიამ უნდა გადადგას თამამი ნაბიჯი და დროულად მიიღოს გადაწყვეტილება, თქვას ღიად, რომ ნაცმოძრაობაში ხაზეიშვილისა და მისი ერთობა აღარ გამოვა“





გვ.3

დავით ქიქინაძე: „საარჩევნო სისტემა ისე უნდა შეიცვალოს, რომ არჩევნების გაყალბება შეუძლებელი გახდეს“

## „საპარლამენტო ოპოზიცია პირდაპირ გარიგებაშია „ქართულ ოცნებასთან“

პაატა მანჯგალაძე: „ოცნება“ ცდილობს, ოპოზიცია თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანოს“



გვ.2

## „ისლამური სახალიფო“ კვლავ მოურჩენელ გეოსტრატეგიულ სარკომად რჩება“



გვ.3

ვახტანგ მაისაია: „თურქული პრესა წერდა, მაგრამ საქართველოს კონტრტერორისტულმა ცენტრმა კონკრეტული პასუხი გასცა. იმედია, ასეა“



## „გიორგი ვაშაძეს ქოლცენტრებთან არანაირი კავშირი არა აქვს“



გვ.4

„უკრაინის თავდაცვის ძალების გმირული მოქმედებების შედეგად ბახმუტში რუსების დანაკარგი კოლოსალურია“



გვ.4

„ვაშინგტონ პოსტი“ უკრაინული კონტრშეტევის სცენარების შესახებ



გვ.5

გოგონამ გამოძახებით კლიენტი სასქესო ორგანოში დაჭრა



გვ.5

ქალს ყურიდან ცოცხალი ობობა ამოუყვანეს

1993230720223

5 მამაკაცმა ცოლის რჩევა გაითვალისწინა და მილიონერი გახდა

5 რატომ ჭიანურდება ლაზარე გრიგორიადისის პროცესი

6 აქლემი ბავშვს თავს დაესხა და თავზე უკბინა

6 „ვაგნერელთა“ ბანდებს კადიროველები ჩაანაცვლებენ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გახარიამაც და „ლელომაც“ ჭკუა იხმარონ და გაერთიანდნენ, სახელიც მზადაა: „ლელო საქართველოსთვის“

## პაატა ზაქარეიშვილი: „მელიამ უნდა გადადგას თამამი ნაბიჯი და დროულად მიიღოს გადაწყვეტილება, თქვას ღიად, რომ ნაცმოძრაობაში ხაბეიშვილისა და მისი ერთობა აღარ გამოვა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ექსპერტი-კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



***– ბატონო პაატა, ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიურად საუბრობენ მესამე ცენტრის შექმნაზე. თქვენ გახარიასა და „ლელოს“ ერთობაზე გააკეთეთ აქცენტი და ეს თემა აქტიურად აიტაცეს მედიასაშუალებებმა. რა შანსები აქვს ამ ერთობას? მამუკა ხაზარაძე საკმაოდ ნაწყენი იყო გიორგი გახარიაზე ანაკლიის თემის გამო. გადალახავს ამ წყენას? რა პერსპექტივაა ამ ერთობის? ოპოზიციაში ყველაზე სიმპათიურად ეს ორი ძალა გამოიყურება. რას იტყვით თქვენ?***

– მეც ზუსტად ასე ვფიქრობ და დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვსაუბრობთ ამ თემებზე. პირველად სწორედ თქვენთან გავაჟღერე ეს თემა. ძალიან კარგია, რომ ნელა-ნელა მის მიმართ ინტერესი იზრდება. დღეს არსებობს ორი გამოკვეთილი ცენტრი. მკაფიოდ გამოკვეთილია პირველ ადგილზე „ქართული ოცნება“ და მკაფიოდ გამოკვეთილია მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობა. ასევე მკაფიოდ გამოკვეთილია გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა. ეს რიცხვი 60%-მდე ტრიალებს, ანუ 60%-მა არ იცის, ვის მისცეს ხმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აშკარად ჩანს კვლევებში, რომ მესამე ძალის მიმართ, რომელსაც არ აკონკრეტებენ, არის დიდი ინტერესი. მესამე ძალა რომ გამოჩნდეს, დარწმუნებული ვარ, ამ 60%-დან ბევრს აიღებს. გვყავს შიგნით პარტიები, ცოცხალი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ ძალა, თუ გადალახავენ ბრაზსა და წყენას, შექმნან რაღაც ახალი რეალობა. ახალი გმირი არ ჩანს, ისე, როგორც თავის დროზე გამოჩნდა სააკაშვილი და მისი გუნდი და შემდეგ – ივანიშვილი. ახლა მსგავსი არავინ ჩანს და ერთ წელიწადში ვერანაირად ვერ გამოჩნდება. შესაბამისად, უნდა ვეძებოთ იქ, სადაც გვაქვს რაღაც რესურსები.

***– ანუ არის რეალური შანსები?***

– რა თქმა უნდა, არის. „ლელო“ ყოველთვის ცდილობდა, შეექმნა რაღაც ახალი, ჰქონდა მესამე ცენტრის შექმნის მცდელობა. ეს აქამდე არ გამოვიდა, ახლა ემატება გახარია. დედამიწის ზურგზე იდეალური არაფერი არ არსებობს და მათ შორისაც არსებობს სტრატეგიული განსხვავება. „ლელოს“ აქვს სამართლიანი და საფუძვლიანი მიზეზი თქვას, რომ გახარიასთან ვერ იქნება, რადგან მან ჩააგდო ანაკლია. სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს რაღაცაზე მაღლა დადგომის მომენტი. შენს თავს უნდა აჯობო. დღეს საქართველოს სჭირდება ისეთი ერთობა, როგორიც გახარიასა და „ლელოს“ ერთობა იქნებოდა.

### „ქართულ ოცნებაში“ არც სოციალისტები არიან და არც კონსერვატორები. პოპულისტები არიან!“

***– სხვა შემთხვევაში არის იმის საფრთხე, რომ ორპარტიული პარლამენტი მივიღოთ? საკმაოდ მაღალი ბარიერია გადასალახავი, 5%-იანი.***

– დიახ, ასეა ნამდვილად. თუ „ლელო“ გადალახავს ამ თავის პრინციპებს, ვიტყოდი, საკმაოდ პრინციპულს. ერთი წამითაც არ მინდა, ჩრდილი მივაყენო მათ პრინციპებს ანაკლიასთან დაკავშირებულს, თუმცა, თუ ამ წყენას გადალახავს და იტყვის, რომ დღეს საქართველოს სხვა რამე სჭირდება, ანაკლიასაც სულ მალე ააშენებენ, თუ გაუშვებენ „ქართულ ოცნებას“. უნდა გაერთიანდნენ ერთ პარტიად. სახელიც კი უკვე გამზადებულია: „ლელო საქართველოსთვის!“ ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი გაერთიანება. მინიმუმ 8%-ს აიღებს ასეთი პარტია, 12%-ს თუ არა. აი, ცალკე რომ დარჩნენ, ერთმანეთს დააზიანებენ. ვიღაცას მოსწონს „ლელოს“ მესამეძალობა, ვიღაცას მოსწონს გახარიას მესამეძალობა. ამიტომ ხმები გაიყოფა.

***– მხოლოდ მათ ერთობას წარმოიდგენთ თუ კიდევ არის შანსი, სხვა პარტიებიც მიიერთონ?***

– როგორც კი მათი ერთობა შედგება, მათთან სხვაც ბევრი მივა. შესაძლოა, ეკა ბესელიაც მივიდეს. ძირითადად მივა ის ხალხი, ვინც წამოსულია „ქართული ოცნებიდან“. რესურსი დიდია. „ლელოშიც“ არის „ოცნებიდან“ წამოსული, მაგალითად, უსუფაშვილი. „ლელო“ აგრესიული და რადიკალური ძალა არასდროს ყოფილა, ბევრი პლუსი აქვთ. ასევე შესაძლოა მათთან მივიდეს სალომე ზურაბიშვილი. ესეც ძალიან გააძლიერებს სიტუაციას. ამ ფონზე კი მნიშვნელოვანი იქნება ნაციონალური მოძრაობის ღირსეული ქცევა.




***– რა იგულისხმება ნაცმოძრაობის ღირსეულ ქცევაში?***

– უნდა მიესალმოს მესამე ცენტრის შექმნას და თქვას, მე მაქვს ჩემი ხმები, არ მოვუწოდებ არავის, ჩვენთან გაერთიანდნენო.

***– ანუ უნდა დათმოს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი?***

– ამას ხალხი წყვეტს. ნაცმოძრაობა ვერაფერს შეცვლის. ამ სიტუაციაში ნაცმოძრაობამ უნდა თქვას, ჩემთან ნურავინ ნუ მოხვალთო, ანუ მან უნდა შეწყვიტოს ყალბ, ფსევდო, სპეკულაციურ ერთობაზე ლაპარაკი.

***– არასდროს არ გაამართლა, როდესაც ნაცმოძრაობის გარშემო იყო გაერთიანების მცდელობა. ყველა ერთ ქვაბში იხარშება და ყველა ნაციონალია.***

– სწორედ ასეა. ამიტომ ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა თქვას, რომ მას არ სჭირდება სხვებთან შეერთება, არ მოუწოდებს ამისკენ და სხვაგან გაერთიანდნენ. ამას ვგულისხმობ ღირსეულ ქმედებაში.

***– საინტერესოა, რას იზამს ნიკა მელია.***

– ეს კიდევ ერთი მომენტია. მელიამ შეიძლება შექმნას კიდევ ერთი ცენტრი. რადგან იშლება, დროულად დაიშალოს ბოლომდე. მელიამ უნდა გადადგას ეს თამამი ნაბიჯი და დროულად მიიღოს გადაწყვეტილება, თქვას ღიად, რომ აღარ გამოვა ნაცმოძრაობაში ხაბეიშვილისა და მისი ერთობა. მელიას ხალხი, რომელიც 40%-მდეა ამ პარტიაში, უნდა გამოვიდეს და თქვას, ჩვენ ახალ პარტიას ვქმნითო! ამ შემთხვევაში ძალიან კარგი შანსი უჩნდება მელიას, რომ მის გარშემო ნაციონალური მოძრაობიდან წამოსული პარტიები გაერთიანდნენ.

***– ანუ კიდევ ერთი ცალკე ცენტრი უნდა შეიქმნას?***

– რა თქმა უნდა! „ევროპული საქართველო“, „გირჩი“, ელენე ხოშტარია, გიორგი ვაშაძე. მე მათ ვერ ვუკარნახებ, უბრალოდ, ჩემი სურვილია ეს. ჩემთვის ყოვლად მიუღებელია ნაციონალური მოძრაობა, ერთიანი თუ გაყოფილი, მაგრამ სახელმწიფოს სჭირდება დღეს, რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა პარტია შევიდეს პარლამენტში. „ოცნებამ“ ამ შემთხვევაში შესაძლოა მეტი ხმა აიღოს, მაგრამ...

***– ერთპიროვნული მმართველი ვეღარ იქნება?***

– ზუსტად. არის შანსი, რომ შეიქმნას ოპოზიციის უმცირესობის უმრავლესობა, რადგან პარლამენტში შესული ოპოზიციის რაოდენობა შეიძლება აღემატებოდეს „ქართული ოცნების“ რაოდენობას. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. და გახდება უმცირესობის მთავრობა, არსებობს პოლიტოლოგიაში ასეთი ტერმინი. ამიტომ ჭკუა უნდა იხმარონ გახარიამაც და „ლელომაც“

***– აქამდე არ იყო მესამე ცენტრის შექმნის საშუალება, დღეს კი კარგი შანსია, რადგან საგრძნობლად დასუსტდა როგორც „ქართული ოცნება“, ისე – ნაციონალური მოძრაობა.***

– ასეა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ პროპორციული სისტემა მოდის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. „ქართული ოცნება“ ყოველთვის მაჟორიტარებით იმარჯვებდა. „ქართულ ოცნებას“ სჭირდება, შემდეგ წელს არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს, რათა ისევ შეცვალოს კონსტიტუცია და ისევ დააბრუნოს მაჟორიტარული სისტემა. მაჟორიტარების გარეშე ძალიან უჭირს. ამიტომ არ უნდა მიეცეთ იმის საშუალება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვიდნენ და კანონები შეცვალონ. თუ ასე გამსხვილდებიან პარტიები, როგორც ჩვენ ვთქვით, ასეთ შემთხვევაში 7-8%-ს ყველა გადალახავს.

***– ბატონო პაატა, რა ბედი ელის ჩვენს კანდიდატის სტატუსს?***

– ღარიბაშვილის გამოსვლა უნგრეთში შემთხვევითი არ იყო. რუსული კანონის შემოგდება შემთხვევითი არ იყო. „ქართული ოცნების“ ქმედება ერთი-ერთში ჰგავს ფეხბურთის კორუფციას – თამაშობს, მაგრამ გოლი არ გააქვს. აბსოლუტურად ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სტატუსი არ მოგვცენ. ნამდვილად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მივიღებთ თუ არა სტატუსს. 12 წელია, ხელისუფლებაში სულ სოციალისტური და მემარცხენე იდეებით არიან და ახლა კონსერვატორული იდეები რამ გაახსენათ?! არც აქამდე დამუქრებია და არც მომავალში ემუქრება საფრთხე ქართულ ღირებულებებს. უბრალოდ, ესენი არიან პოპულისტები! არც სოციალისტები არიან და არც კონსერვატორები. პოპულისტები არიან! ევროპაში ხედავენ ამ ყველაფერს, ხედავენ, რომ იბრძვის ორი ძალა, პროევროპული და ანტიევროპული. მათ კი არ უნდათ, რომ ახალი ორბანი შეიყვანონ ევროკავშირში. ღარიბაშვილმა პირდაპირ უთხრა, მე თუ მიღებ, მე ვიქნები ორბანიო! „ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ ევროპამ მასზე უარი თქვას! ამიტომ ჩემი აზრი ასეთია: ევროპაში გაძლიერდება ძალა, რომელიც იტყვის, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიცემით ჩვენ რუსეთს ვაძლევთ კანდიდატის სტატუსსო. ყველაზე უკეთესი ვარიანტი შეიძლება იყოს, რომ ევროკავშირმა წამოგვიყენოს პირობა – დაველოდებით არჩევნების შედეგებს! თუ ხალხი უარს ეტყვის „ოცნებას“, მოგვცემენ სტატუსს, თუ არადა, არ მოგვცემენ.

# „გიორგი ვაშაძეს ქოლცენტრებთან არანაირი კავშირი არა აქვს“

## პაატა მანჯგალაძე: „ოცნება“ ცდილობს, ოპოზიცია თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი პაატა მანჯგალაძე პასუხობს.

***– ბატონო პაატა, ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება სერიოზულ შეტევაზე გადავიდა. თქვენთვისაც ცნობილია, როგორი აჟიოტაჟია ქოლცენტრების საქმესთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ „ოცნებას“ მიზანმიმართულად გადააქვს ისრები ოპოზიციისკენ. რა ხდება გიორგი ვაშაძის ძმასთან დაკავშირებით? ასევე გაიჟღერა არახამიას გვარმაც. რეალურად რასთან გვაქვს საქმე?***

– ეს არის მიზანმიმართული სუს-ის სპეცოპერაცია, რომ წლების განმავლობაში ევროპელი პენსიონერების თავის მიერ ორგანიზებული ძარცვა გადაფაროს და შექმნას ილუზია, თითქოს ოპოზიცია არის ამ საქმესთან კავშირში. ყოველ შემთხვევაში, „სტრატეგია აღმაშენებელს“, ალბათ გაგიგიათ, ხშირად არის საუბარი, რომ სამართალდამცავებმა ჩაუდეს ნარკოტიკი, ჩაუდეს იარაღი, მაგრამ, აი, ქოლცენტრი ჩაგიდეს, ასეთ რამეს მართლა ვერ წარმოვიდგენდი. თქვენ იცით, წინა დღეს, სანამ შევიდოდნენ და დალუქავდნენ კონკრეტულ ფართს, რომელთანაც გიორგი ვაშაძის ძმას არანაირი შეხება არა აქვს, ეს, უბრალოდ, მიმდებარე ფართია და მიმდებარე შენობაა, „ქართული ოცნების“ ათასლარიანმა ექსპერტმა, სალუქვაძემ, თქვა, რომ მას აქვს ინფორმაცია, თითქოს გიორგი ვაშაძესა და დავით არახამიას აქვთ ქოლცენტრი. ამის მერე დაიწყო ყველაფერი.

***– ჯერ შეამზადეს საზოგადოება?***

– დიახ, ჯერ საინფორმაციო მომზადება გააკეთეს და შემდეგ ამას მოჰყვა „ქართული ოცნების“ ეს დაგეგმილი სპეცოპერაცია და პროპაგანდა. მე პირდაპირ გეტყვით, რომ ჯერ საგამოძიებო სამსახურსაც არ უთქვამს არაფერი. მათ თქვეს, რომ ანონიმური ინფორმაციის საფუძველზე დალუქეს, მაგრამ, რა ამოიღეს და რა მტკიცებულებები დახვდათ იქ, ჩვენ ჯერ არ ვიცით.



ალბათ გაგიგიათ, ხშირად არის საუბარი, რომ სამართალდამცავებმა ჩაუდეს ნარკოტიკი, ჩაუდეს იარაღი, მაგრამ, აი, ქოლცენტრი ჩაგიდეს, ასეთ რამეს მართლა ვერ წარმოვიდგენდი. ამ შემთხვევაში გიორგი ვაშაძეს კი არ ჩაუდეს ეს ქოლცენტრი, არც მის ძმას, არამედ – მის სავარაუდო პარტნიორს.

***– არახამიაზე რას იტყვით?***

– არახამიას რაც შეეხება, მას არანაირი ძმა არ ჰყავს. ესეც სპეციალურად შეარჩიეს იმავე გვარის ადამიანი, თითქოს იმის ძმაა და თითქოს ბიზნესი აქვთ.

***– ანუ მიზანმიმართულად ცდილობენ,***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საპარლამენტო ოპოზიცია პირდაპირ გარიგებაშია „ქართულ ოცნებასთან“

## დავით ჭიჭინაძე: „საარჩევნო სისტემა ისე უნდა შეიცვალოს, რომ არჩევნების გაყალბება შეუძლებელი გახდეს“

ნათია ხურცილავა

**„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ამბობენ, რომ სამი ოპოზიციური დაჯგუფება იქნება. ექსპერტები არც ახალი მოთამაშეების გამოჩენას გამორიცხავენ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ ჩვენ საპარლამენტო არჩევნებისთვის სერიოზულად ვემზადებით, ვემზადებით იმ პარტიებთან ერთად, რომლებიც ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან მოდიან და რომლებისთვისაც უპირველესია ეროვნული ინტერესები.

იმ ხალხთან, რომლებსაც არც ქართველი ხალხი და არც საქართველოს ინტერესები არ ადარდებთ, არაფერი არ გვესაქმება. ეს ხალხი საკუთარ თავს პროდასავლურს უწოდებს, სინამდვილეში, არაფერი არა აქვთ საერთო არც დასავლეთთან და არც საქართველოს ინტერესებთან. სწორედ ეს ხალხი ეხმარება „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებებში. აქ მთავარი ქმედებაა და არა ის, რას ამბობენ და რას უწოდებენ საკუთარ თავს.

***– ვის გულისხმობთ?***

– საპარლამენტო ოპოზიციას, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ მიშელის შეთანხმება თავზე გადაახია, შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ მაინც შევიდა პარლამენტში და მმართველ პარტიას ზურგი გაუმაგრა. რომ არა ვაჭრობა, რომ არა გარიგება, რით შეიძლება, ეს აიხსნას?! ან იმ ყველაფრის მერე, რაც მოხდა ქვეყანაში, რატომ არ ტოვებენ პარლამენტს, რატომ არ გამოდიან იქიდან, რა ასეთი მიზიდულობის ცენტრია ეს პარლამენტი?! საპარლამენტო ოპოზიცია პირდაპირ გარიგებაშია „ქართულ ოცნებასთან“. სხვა ახსნა დღეს პარლამენტში ყოფნას არა აქვს.

„ქართული ოცნება“ თავისი ყოველი გამოვლენით, ყოველგვარი გააზრებით ქვეყნის წინაშე ბოროტებას ჩადის უკვე ბოლო რამდენიმე წელია. არ შეიძლება, ეს მოითმინო და მასთან ერთად ერთ დარბაზში იხილავდე კანონებს ან არ იხილავდე, მაგრამ მაინც მის გვერდით იყო წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში. ეს ჩემთვის სრულიად დაუშვებელია.



იმას, რაც დღეს ხდება თუნდაც საარჩევნო კოდექსის ირგვლივ, ცესკოს დაკომპლექტების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება, ოპოზიცია შეეგუოს. ცესკოს თავმჯდომარის პირდაპირ გაკონტროლების დაკანონება, ცესკოს დამოუკიდებლობის შემცირება ხდება. როგორ შეიძლება, ამ ყველაფერს პარლამენტმა ლეგიტიმაცია მისცეს?! როგორ შეიძლება, იმ პარლამენტში ოპოზიცია იყოს წარმოდგენილი, სადაც შესაძლოა მსგავსი რამ მოხდეს! დღეს „ქართული ოცნება“ საკუთარ, პარტიულ ინტერესებს არგებს ცესკოს, სახელმწიფოში დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ, ნეიტრალურ ორგანოს. ამას როგორ შეიძლება, ლეგიტიმაცია მისცე. სხვა რაღაა ლღლვისფოთლობა.

> **„დღეს „ქართული ოცნება“ საკუთარ, პარტიულ ინტერესებს არგებს ცესკოს, სახელმწიფოში დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ, ნეიტრალურ ორგანოს. ამას, როგორ შეიძლება, ლეგიტიმაცია მისცე. სხვა რაღაა ლღლვისფოთლობა“**

ამიტომ ვამბობ, რომ ამ ხალხის გადაჯგუფებას აზრი აღარ აქვს. რომელი პრობლემა გადაჭრეს თუნდაც ხელისუფლებასთან ერთად, ეკონომიკური, დემოგრაფიული?! ბანკების ვალებმა და საბანკო სექტორმა წალეკა ეს ქვეყანა. ბანკებმა გაალატაკეს ადამიანები. ამიტომ ყოველი მეორე ადამიანი ემიგრაციაში ხედავს ხსნას.

***– საარჩევნო ბარიერზე მინდა გკითხოთ. ბოლო სოციოლოგიური კვლევებით, 5%-იან ბარიერს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით გვაქვს, მხოლოდ ორი პარტია – „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ლახავს. რატომ არ იბრძვით ბარიერის დასაწევად?***

– ბარიერის დაწევაში არ არის პრობლემა. პრობლემა სხვაგან არის. გნებავთ, ერთპროცენტიანი ან ორპროცენტიანი იყოს, მაინც გაყალბდება არჩევნები, თუ მთლიანად საარჩევნო სისტემა და დამოკიდებულება არ შეიცვლება. და კიდევ: თუ პარტია იქნება ეროვნული ინტერესების გამომხატველი, ამ ხალხის ინტერესების დამცველი, მას არც 10-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეს.

საარჩევნო სისტემა ისე უნდა შეიცვალოს, რომ არჩევნების გაყალბება შეუძლებელი გახდეს. უკვე ბოლო რამდენი არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მიიტაცა. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი იქნება საარჩევნო ბარიერი! მასთან ერთად შეიყვანს პარლამენტში იმას, ვინც აწყობს, იმასთან დადებს გარიგებას, ვინც აწყობს და მას დაარქმევს ოპოზიციას. ასე ითესება ხალხში უიმედობა, ნიჰილიზმი, რომელიც, ყველა კვლევით, 60 პროცენტს აჭარბებს. ამიტომ გარბის ხალხი ემიგრაციაში. საქართველოში, საკუთარ სამშობლოში ხსნას ვერ ხედავენ. მითხარით, სად არის ლოგიკა, თუ ეს ხალხი ხელისუფლებაში ვერ ხედავს ვერაფერს საიმედოს და ვერც იმ ოპოზიციაში, მაშინ ორივე როგორ არის ლიდერის პოზიციაზე?! ქვეყანას ეროვნული ხელისუფლება სჭირდება, რომელიც ხალხს კი არ მოატყუებს, არამედ ხალხის სამსახურში იქნება და არა საკუთარი გამდიდრების სქემის შემუშავებით დაკავებული, ან იმით, როგორ იაროს მივლინებებში და როგორ გაატაროს დრო.

თუ ასე გაგრძელდა, ან სახელმწიფოს დავკარგავთ, ან სამოქალაქო დაპირისპირებას მივიღებთ. თუ ხელისუფლება ხალხის ნების წინააღმდეგ წავა და, რაც არ ეკუთვნის, იმას მიისაკუთრებს, მაშინ ხალხი მის დაბრუნებას შეეცდება. ძალაუფლების წყარო ხალხია და მას აქვს ამის უფლება.

# „ისლამური სახალიფო“ კვლავ მოურჩენელ გეოსტრატეგიულ სარკომად რჩება“

## ვახტანგ მაისაია: „თურქული პრესა წერდა, მაგრამ საქართველოს კონტრტერორისტულმა ცენტრმა კონკრეტული პასუხი გასცა. იმედია, ასეა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**



***– ბატონო ვახტანგ, ცოტა ხნის წინ ჩვენს ინტერვიუში არ გამორიცხეთ საქართველოში „ისლამური სახალიფოს“ მიძინებული ქსელების არსებობა. ახლახან საქართველოს კონტრტერორისტულმა ცენტრმა უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავა და მნიშვნელოვანი დოკუმენტები ამოიღო. ეს ყველაფერი რის მანიშნებელია?***

– ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ შეიძლება მიძინებული ქსელების ამოქმედების ტენდენცია ყოფილიყო. ჩვენი ვარაუდი, სამწუხაროდ, დაადასტურა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და ასევე თურქეთის სპეცსამსახურებმაც.

***– რას გულისხმობთ?***

– დაადასტურეს, რომ მათ შორის საქართველოც შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი დასაყრდენი, ანუ „ისლამური სახალიფოს“ გააქტიურების ცენტრი საერთაშორისო დონეზე.

***– ანტიტერორისტული სამსახურის გამომძიებელმა საქართველოში „ისლამური სახალიფოს“ რაიმე ცენტრის არსებობა გამორიცხა.***

– გასაგებია. სახელმწიფო მოხელეა და ის, ბუნებრივია, ვალდებულია, ასე ილაპარაკოს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რაც შეიძლება იყოს, რადგან ასეთი რამ მოხდა და ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ბუნებრივია, შემთხვევით არ მომხდარა.

მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის „ისლამური სახალიფო“ კვლავ რჩება მოურჩენელ გეოსტრატეგიულ სარკომად. ისინი მეორედ იწყებენ თავიანთი პოტენციალის წარმოჩენასა და განვითარებას. ის მომენტი, რომელიც საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში დაფიქსირდა, ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ჩვენ ვთქვით, რომ ამგვარი რამ შესაძლებელი იყო და ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, გამოვლინდა. არავინ ამბობს, რომ საქართველოში მათი მომზადების ცენტრებია. ღმერთმა ნუ ქნას, ასე იყოს. ჩვენი სპეცსამსახურები ამ დონეზე საქმეს არ მიიყვანენ.

თუმცა, ფაქტია, ჩანს, მიძინებული ქსელების ნახევრად გააქტიურებულ ქსელებად გადაყვანის პროცესი დაიწყო.

***– საქართველოში ტერორისტების მომზადების ცენტრების შესაძლო არსებობაზე, მგონი, უცხოეთში დაიწერა, რაც საქართველოს კონტრტერორისტულმა ცენტრმა უარყო.***

– ამაზე თურქული პრესა წერდა, მაგრამ საქართველოს კონტრტერორისტულმა ცენტრმა კონკრეტული პასუხი გასცა. იმედია, ასეა. ჩვენი ოპერატიული სამსახურების წარმომადგენლებს როგორ შეიძლება არ ვენდოთ, რომლებიც, სხვათა შორის, ამ მიმართულებით წარმატებით საქმიანობენ, სხვა მიმართულებისაგან განსხვავებით.

***– რას გულისხმობთ?***

– ანტიტერორისტული მიმართულება ყველაზე წარმატებული სამსახურია, რომელმაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მოწონება დაიმსახურა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში საქართველოს მცდელობა საერთოდ ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში მაღალ დონეზეა შეფასებული. ანტიტერორისტულ ცენტრში მაღალი დონის პროფესიონალები მუშაობენ, ესეც უნდა აღვნიშნოთ.

***– თუ არ ვცდები, მას, ვინც დააკავეს, აღმოაჩნდა ამერიკის მნიშვნელოვანი ობიექტების რუკები. ალბათ, ტერაქტებისთვის ემზადებოდნენ.***

– როგორც ადრე, მაგალითად, 2002 წელს, როდესაც საქართველოსთვის მაშინდელი უკონტროლობის გამო (საქართველოში სიტუაცია ვერ კონტროლდებოდა), არშემდგარი ქვეყნის პერიოდი იყო (კორუმპირებული ქვეყნის პირობებში) და საქართველოდან რამდენიმე ტერაქტი დაიგეგმა, მათ შორის, აშშ-ის მიმართულებით. ალ ქაიდას დაჯგუფება საქართველოს იმ დროს უკონტროლო ტერიტორიებს იყენებდა თავისი საზღვარგარეთული მისიების შესრულებისთვის. მაშინ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს არშემდგარი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა იმის გამო, რომ ჩვენთან რეალური საფრთხეების შექმნის (ესეც ხომ ფაქტი იყო) კონკრეტული მაგალითი იყო.

მაშინ, კონტროლის მიზნით, საქართველო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში ჩაერთო, შეერთებული შტატების მხრიდან 64 მილიონი დოლარი გამოიყო, როცა საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების რეფორმა, მოდერნიზაცია ჩატარდა 2003 წლის ანტიტერორისტული ოპერაციის შემდეგ.

***– სპეცოპერაცია აზერბაიჯანშიც ჩატარდა?***

– დიახ, აზერბაიჯანიც მოხსენიებული იყო. აზერბაიჯანში ისედაც ახორციელებენ ანტიტერორისტულ ღონისძიებებს.

***– ანუ ახლა ჩვენი კონტრტერორისტული ცენტრი სანდოა?***

– კი, რა თქმა უნდა. ჩვენი კონტრტერორისტული ცენტრი ყოველთვის პროფესიონალიზმითა და ეფექტური საქმიანობით გამოირჩეოდა. სწორედ კონტრტერორისტული ცენტრის ეგიდით შემუშავდა ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია, რომელმაც საკმაოდ სერიოზული გავლენა იქონია საქართველოში ტერორისტული საფრთხის შემცირებაზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამ მიმართულებას საკმაოდ წარმატებით ავითარებს. სხვა მიმართულებაა პრობლემატური, თორემ ამ მიმართულებით საკმაოდ კარგად მიდის საქმე.

***– ანუ ამ მიმართულებით შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ?***

– კი, რა თქმა უნდა. ეს ფაქტია.

***– რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე რუსეთის ტერორისტულ ქვეყნად გამოცხადების მოთხოვნა იყო. შეიძლება ვთქვათ, რომ ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლებს რუსეთში ფეხი აქვთ მოკიდებული? შეიძლება რუსეთში „ისლამური სახელმწიფოს“ მიძინებული ქსელები იყოს?***

– სავსებით შესაძლებელია, იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასია ყოველთვის გამოირჩეოდა „ისლამური სახელმწიფოს“ მაღალი დაინტერესებით. ამ კონტექსტში მიძინებული ქსელების არსებობის ალბათობა არ გამოირიცხება, მით უმეტეს, ჩრდილოეთ კავკასია შეიძლება საკმაოდ სერიოზული ფაქტორი იყოს.

***– სირიაში, სადაც „ისლამური სახალიფო“ აღმოცენდა, რა მდგომარეობაა?***

– სირიაში ამ მხრივ საკმაოდ რთული მდგომარეობაა. სირიაში „ისლამური სახალიფოს“ დაჯგუფება გააქტიურდა, ტერორისტული აქტები ხდება და მათი ქსელები ვითარდება. ამერიკელებს სერიოზული ტიპის ოპერაციის ჩატარება მოუწევთ და უწევთ, რომ „ისლამური სახალიფოს“ აქტიურობა ჩრდილოეთ აფრიკაში გაანეიტრალონ.

***– სირიამ რუსეთის დახმარებით თითქოსდა „ისლამური სახალიფო“ ხომ დაამარცხა?***

– „ისლამური სახალიფო“ მხოლოდ რუსეთის დახმარებით არ დამარცხებულა. „ისლამური სახალიფო“ სამმა სამხედრო კოალიციამ დაამარცხა. სამი სამხედრო კოალიცია ებრძოდა „ისლამური სახალიფოს“ სამხედრო ფორმირებებს. ეს არის არაბულ– თურქული, რუსული და სპეციალურად შექმნილი დასავლური კოალიცია.

სპეციალურად კოალიციები შეიქმნა. „ისლამური სახალიფოს“ დამარცხება სამივე კოალიციის დამსახურებაა, მაგრამ მაინც ვერ დაამარცხეს. ის იატაკქვეშეთში გადავიდა და ახლაც ცდილობენ „ისლამური სახალიფო-2“-ის პროექტის განვითარებას.

***– როდესაც ახალი პროექტის განვითარებაზეა საუბარი, ჩანს, ამერიკისა თუ თურქეთის წინააღმდეგ გარკვეულ ტერორისტულ ქმედებებს გეგმავენ. რუსეთის წინააღმდეგ თუ მოქმედებენ იმავენაირად?***

– ტერორისტები ყველგან მოქმედებენ. ასეთი დონის საერთაშორისო ტერორისტები ტერორისტულ ნიშასაც სცდებიან. კვაზისახელმწიფოებრივი, აგრესიული რელიგიური არასახელმწიფო აქტორები არიან და ყველა მიმართულებით მოქმედებენ. მნიშვნელობა არა აქვს, რუსეთი იქნება, ჩინეთი თუ ამერიკა. ისინი ყველას წინააღმდეგ მოქმედებენ.

***– რუსეთ-უკრაინის ომში შეიძლება რაიმე როლი ითამაშონ?***

– ძნელია თქმა, მაგრამ, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება, გამოიყენონ.

# „უკრაინის თავდაცვის ძალების გმირული მოქმედებების შედეგად ბახმუტში რუსების დანაკარგი კოლოსალურია“

მარიამ მჭედლიშვილი



რუსეთის კერძო კომპანია „ვაგნერის“ მეთაური ევგენი პრიგოჟინი იმუქრება, რომ თუ მას საბრძოლო მასალებს არ მიაწვდიან, ის თავის რაზმელებს (მისი დიდი ნაწილი პატიმრები არიან) 10 მაისს ბახმუტიდან ზურგში გადაიყვანს.

უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ დაჯგუფების წარმომადგენელი სერგეი ჩერევატი უკრაინულ მედიასთან განმარტავს, რითია გამოწვეული პრიგოჟინის მორიგი ბდღვინვა და რა მიღწევები აქვთ უკრაინელებს ფრონტზე.

***– პრიგოჟინის ახალი ისტერიკა სიცრუეა თუ სასოწარკვეთილების გამოხატულება?***

– ამას სულ სხვა კუთხით უნდა შევხედოთ. ჩვენთან ყურადღებას აქცევენ იმას, გამოვლენ თუ არა „ვაგნერელები“, მისცემენ თუ არა მათ საბრძოლო მასალებს. სინამდვილეში, ამ ყველაფრის უკან იკარგება ჩვენი (უკრაინის) თავდაცვის ძალების – უკრაინის შეიარაღებული ძალების, ეროვნული გვარდიის, სასაზღვრო სამსახურისა და სხვების დაუჯერებელი გმირობა ბახმუტში. მათ, რეალურად, განდევნეს „ვაგნერის“ დაჯგუფება. მათ ბახმუტში კოლოსალური დანაკარგები აქვთ, არ იციან, საიდან შეავსონ ეს დანაკარგი.

ახლა უკვე შოიგუც ცდილობს, პატიმრებით შეავსოს თავისი ე.წ. მოიერიშე რაზმები. ამიტომაც ექმნება პრიგოჟინს პრობლემა. ამის გამო ჩნდება ზღაპრები იმის შესახებ, რომ საბრძოლო მასალებს არ აწვდიან.

***– პრიგოჟინი ბახმუტის აღებას 10 თვეა, ცდილობს. რამდენი მოწინააღმდეგე დავხოცეთ იქ?***

– ჯერ თვლა ისევ მიმდინარეობს. ამერიკელების ყველაზე კონსერვატიული გათვლებითაც კი, ესაა დაახლოებით 200.000 მოკლული. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენ თვალწინ სწრაფად შევიდოდნენ ბახმუტში. სახელდებოდა ვადა – 2022 წლის ივლისი. თუმცა, ეს დღემდე ვერ შეასრულეს.

***– ყოველდღე გვესმის, რომ იქ უამრავი ცხედარია (რუსების) და მათ არავინ პატრონობს. ამ დღეებში კი პრიგოჟინი მოთქვამდა, რომ ყოველი დალუპულის გამო იტანჯება. ეს პუბლიკაზე თამაშია?***

– მას არავინ ებრალება. ეს არის კაცი ატროფირებული ფსიქიკით. ხან ზელენსკის მიმართავს, ხან – ზალუჟნის, ხან – შოიგუს. მან აშკარად გააზვიადა საკუთარი შესაძლებლობები ამ სამყაროში. თუმცა, ის შესანიშნავი პროპაგანდისტია ჩვენს მხარეს, ისევე, როგორც გირკინი.

პრიგოჟინი ყველაზე უკეთესად აშუქებს რუსეთის ჯარის ცუდ მხარეებს. ის მათ ეუბნება, რომ არაფრის თავი არა აქვთ და რომ მხოლოდ „ვაგნერელებს“ შეეძლოთ წინსვლა. ეს მას ჰააგის სასამართლოში შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაეთვლება.

***– უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს გაენადგურებინათ „ვაგნერის“ საბრძოლო მასალების საცავები. რამდენად შევამცირეთ მათი მწირი მარაგი?***

– იქ ყოველდღიურად ნადგურდება საველე საწყობები. მაგალითად, 5 მაისს ღღელამეში განადგურდა 10 საველე საწყობი საბრძოლო მასალებით.

***– რუსული პროპაგანდა ავრცელებს ინფორმაციას ჩაროვოი იართან მნიშვნელოვანი ხიდის დანგრევის შესახებ. მათი თქმით, ამ ხიდით მარაგდებოდა უკრაინის გარნიზონი ბახმუტში.***

– ეს პრიგოჟინის განცხადებების კატეგორიიდანაა. მათ სამი კვირის წინ უნდა დავეტოვებინეთ ყოველგვარი დამაკავშირებელი გზის გარეშე. ეს განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამება.



პრიგოჟინი

დიახ, ისინი ცდილობენ, გაგვიწყვიტონ კავშირი, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ამის საშუალება არ მივცეთ. ჩვენი არტილერისტებიც იბრძვიან, ჩვენი ინჟინრები და ლოგისტები აგებენ ახალ გზებს.

***– ოკუპანტები დარწმუნებული არიან, რომ კონტრშეტევა (უკრაინის) უკვე დაწყებულია.***

– მათ არ იციან, რა, სად და როდის იქნება. მტერი აღელვებულია. მისი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

# „ვაშინგტონ პოსტი“ უკრაინული კონტრშეტევის სცენარების შესახებ



უკრაინელთა კონტრშეტევის დაწყება ახლოვდება. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ აზრით, შესაძლებელია რამდენიმე სცენარი, კერძოდ:

უკრაინა ყურადღებას ზაპოროჟიეს ოლქის გათავისუფლებაზე გაამახვილებს. ოკუპანტებს განდევნიან მელიტოპოლიდან, ასევე ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან. ამის შემდეგ ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირის გათავისუფლების დრო დადგება. ოკუპანტებს განდევნიან კახოვკიდან. დაიწყება ყირიმის გათავისუფლება.

გაზეთის აზრით, ყირიმი იქნება შეტევის პრიორიტეტული მიმართულება. ამავე დროს, ამერიკელები არ გამორიცხავენ, რომ შეტევა დონბასის მიმართულებითაც განხორციელდება, კერძოდ, განხორციელდება დარტყმა ბახმუტზე, დონეცკზე, გორლოვკაზე და ა.შ.

ამერიკელები ხაზს უსვამენ, რომ შესაძლოა შეტევა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მოხდეს, კერძოდ, ზაპოროჟიეს, ხერსონის, ყირიმის, ბახმუტის, დონეცკის მიმართულებით.

– რუსული არმია დაქანცული და სისხლისაგან დაცლილია, უკრაინა კი ბრძოლაში ახალ ძალებს ჩააბამს. ისინი ნატოს სტანდარტების მიხედვით არიან გაწვრთნილნი, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

# ვაკის პარკში უკრაინის დროშის ჩამოხევის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო



ვაკის პარკში უკრაინის დროშის ჩამოხევის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. კერძოდ კი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-18 პრიმა მუხლით, რაც გულისხმობს ევროპის კავშირის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური სიმბოლოს შებღალვას, ან სხვა სახელმწიფოს დროშის ან გერბის შებღალვას.

ცნობისთვის, ვაკის პარკში უკრაინის დროშა 7 მაისს ჩამოხიეს.

არსებული ინფორმაციით, პირი, რომელმაც დროშა ჩამოხსნა, „ალტ-ინფოს“ ბაზაზე დაფუძნებული „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერია.

# გენერალი ზალუჟნი ბუნდესვერის მთავარ ინსპექტორს შეხვდა



კიევში ჩავიდა ბუნდესვერის მთავარი ინსპექტორი ბეერი. ის უკრაინული არმიის სარდალს, გენერალ ზალუჟნის შეხვდა.

– მოლაპარაკების მთავარი თემა უკრაინელთა მომავალი კონტრშეტევა იყო, – იტყობინება „რბკ-უკრაინა“.

ტელეკომპანია „აპოსტროფ ტივის“ ცნობით, ჩეხეთის პრეზიდენტმა პეტერ პაველმა უკრაინელები ოფიციალურად გააფრთხილა:

– აჩქარება არ ეგების! წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივი დანაკარგები გარდაუვალია, – თქვა პაველმა.

# „გიორგი ვაშაძეს ქოლცენტრებთან არანაირი კავშირი არა აქვს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***გადააბრალონ ოპოზიციას?***

– სწორედ მიზანმიმართულად. დიახ, ეს სპეციალურად გააკეთეს ორი რამის გამო – ერთი, რომ გიორგის რეპუტაცია შელახონ, ოპოზიციას ჩირქი მოსცხონ და მეორე, მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს გამოიყენონ ევროპელი სამართალდამცავებისთვის კვალის ასარევად.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ რეალური კვალის ნაცვლად სწორედ აქეთ წამოიყვანონ. ის ფირმა, რომელიც დახურეს, ვითომ არახამიას ფირმა, დარეგისტრირებულია 13 აპრილს. რომელი ჭკუათმყოფელი დაარეგისტრირებდა ქოლცენტრს 13 აპრილს?! და 19 აპრილს შევიდა უკვე შენობაში.

***– ანუ ამ სკანდალის შემდეგ ხდება დარეგისტრირება?***

– დიახ, სწორედ ამის შემდეგ. ეს ყველაფერი არის „ქართული ოცნების“ ხელით შეთითხნილი ბინძური პროვოკაცია. რადგან თვითონ არაფერი აქვთ სათქმელი, ახლა ცდილობენ, ოპოზიცია გადაიყვანონ თავის მართლების რეჟიმში.

***– რას ელით ამ სკანდალურ სქემასთან დაკავშირებით?***

– ამათგან არაფერს ველი, ხოლო ევროპელების რეალური გამოძიება დადებს შედეგს და გამომჟღავნდება, რომ ქოლცენტრის უკან დგანან „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი.

***– საგამოძიებო კომისიის შექმნაზე უარი თქვეს, ევროპელებს კვალს ურევენო და გაიხსნება ეს საქმე?***

– ამათგან, რა თქმა უნდა, არაფერს ველი. საკუთარ დანაშაულს ხომ არ გახსნიან?! აი, ევროპელები კი გახსნიან აუცილებლად!

***– ბოლო დღეებში აქტიურად საუბრობენ ოპოზიციის ერთობაზე, მესამე ძალის შექმნაზე. თქვენ თუ განიხილავთ ამ საკითხს და ზოგადად თუ დაიწყო მოლაპარაკებები და კონსულტაციები ოპოზიციაში?***

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოორდინაცია აუცილებელია, ხოლო გაერთიანება ცოტა სხვა ტიპის საკითხია. ჯერჯერობით ეს კოორდინაცია გამოაჩენს, ვინ ვისთან დადგება და ვინ ვის მოერგება შეხედულებებით, ღირებულებებითა და ასე შემდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე მთავარი საკითხია კანდიდატის სტატუსის მიღება. თუ „ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია იმას, რომ კანდიდატის სტატუსი ჩააგდო, მერე ყველა ერთად უნდა დავდგეთ და „ქართულ ოცნებას“ მოვთხოვოთ პასუხი. თუ ხალხი მოინდომებს, შესაძლებელია ვადამდელი არჩევნების დანიშვნაც. ამის შემდეგ უკვე შეიძლება კოალიციებზე საუბარი. მანამდე ყველა უნდა ვიყოთ მიმართული იმისკენ, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს.

**„ალბათ გაგიგიათ, ხშირად არის საუბარი, რომ სამართალდამცავებმა ჩაუდეს ნარკოტიკი, ჩაუდეს იარაღი, მაგრამ, აი, ქოლცენტრი ჩაგიდეს, ასეთ რამეს მართლა ვერ წარმოვიდგენდი“**

***– რა პერსპექტივა გვაქვს „ოცნების“ პირობებში?***

– „ოცნების“ პირობებში, მათი დამსახურებით – არაფერი, მაგრამ, ხალხის ბრძოლიდან და გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, შეიძლება, ქართველ ხალხს მისცენ სტატუსი დათქმებითა და პირობებით.

# ყველაზე ცხარე ბრძოლები კვლავ დონბასშია




ბახმუტში ქუჩის ბრძოლებია. მართალია, ფირმა „ვაგნერის“ თავკაცმა პრიგოჟინმა განაცხადა, რომ ქალაქის 85% აღებულია, მაგრამ, აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში, რუსმა ოკუპანტებმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში ბახმუტში წინ ვერ წაიწიეს. სამაგიეროდ, უკრაინელებმა რამდენიმე ეფექტური კონტრშეტევა განახორციელეს და პოზიციები განიმტკიცეს. თანახმად რტრ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციისა, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო „ვაგნერელთა“ ბანდებისათვის იარაღის გადაცემას დათანხმდა. თავად პრიგოჟინმა მორიგი უცნაური განცხადება გააკეთა:

– ბახმუტში ჩვენ ჩვენი ამოცანა შევასრულეთ. უკრაინული არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილები განადგურებულია! ჩემი აზრით, გაუმართლებელია ქალაქში „ვაგნერის“ ფორმირების დარჩენა. აუცილებელია შეტევის განვითარება და მახლობელი ქალაქების დაკავება!

ცხარე ბრძოლებია ავდეევკასთან, მარინკასთან. რუსებმა ავდეევკის ალყაში მოქცევა ან გვერდის ავლა ვერ შეძლეს. რაც შეეხება მარინკას, აქ ვითარება უცვლელია. მარინკის ნახევარს რუსები აკონტროლებენ, ნაწილს – უკრაინელები. თავად მარინკა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ქალაქი მთლიანად ნანგრევებადაა ქცეული.

საინტერესო ვითარება შეიქმნა უკრაინის სამხრეთში. ზაპოროჟიეს ოლქის ოკუპირებულ ნაწილში აფეთქებები არ წყდება. ამას პირადად პუტინი გამოეხმაურა:

– მე გავეცი ბრძანება, რათა ადგილზევე დახვრიტონ ყველა წამქეზებელი.

ბრძოლებია ხერსონის ოლქშიც. უკრაინელები სულ უფრო მტკიცედ იკიდებენ ფეხს ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზე. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, უკრაინული არმიის კონტროლქვეშ გადავიდა დნეპრის მარცხენა ნაპირზე მდებარე რამდენიმე კუნძული. პასუხად რუსებმა ქალაქ ხერსონის დაბომბვა გააძლიერეს. მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# იზა ომაძე: „ორი სულგაყიდული ახალგაზრდის დაპატიმრება არ არის პასუხი ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაზე“

– ორი სულგაყიდული ახალგაზრდის დაპატიმრება არ არის პასუხი ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაზე. ვითხოვ პასუხს – ვინ და რატომ მომიკლა შვილი... მცირეწლოვანი შვილების დედას ნუ გამომიყვანთ ქუჩაში! – ამის შესახებ მოკლული 22 წლის ნიკა კვარაცხელიას დედა, იზა ომაძე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს და საგამოძიებო უწყებებს მიმართავს.

როგორც ომაძე აღნიშნავს, გამოძიებას მტკიცებულებების მოსაპოვებლად საკმარისი დრო ჰქონდა. შესაბამისად, ის ახლა შედეგს ელოდება.

– მეგობრებო, უბრალოდ, სრულიად უცხო ადამიანებო, ჩემი ტრაგედიის გამზიარებლებო, დამიბრუნდა ჩემი შვილის მაჯის საათი სისხლიანი ლაქებით (ჩემს ემოციებზე რა მოგიყვეთ). ამას, რომ შემიცოდოთ, იმისთვის არ ვწერ, მოგმართავთ იმისთვის, რომ ერთად შევიცოდოთ ჩვენი შვილები. ევროპის ნაწილი კი არა, მალე რუკაზე არ დავრჩებით, როგორც ქვეყანა. ყველამ იცის, რომ მე არანაირი პოლიტიკური მხარე არა ვარ, საკმარისად დაზარალდა ჩემი ოჯახი ყველა დროში, მაგრამ ახლა შვილის ფაშისტურ დახვრეტაზეა საუბარი, რომელიც აგერ უკვე წელიწადი და რვა თვეა, არ გამოუძიებიათ. ორი სულგაყიდული ახალგაზრდის დაპატიმრება არ არის პასუხი ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაზე. ჩემი შვილი არის პირველი ქართული სოციალური მედია პლატფორმის – „ფიდსის“ შემქმნელი, ახალგაზრდა ბიზნესმენი, ვითხოვ პასუხს – ვინ და რატომ მომიკლა შვილი.



საკმარისი დრო გავიდა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, დასაკითხად, დააყენეთ შედეგი! მცირეწლოვანი შვილების დედას ნუ გამომიყვანთ ქუჩაში!

მზად ვარ, თითოეული ახალგაზრდის სახლის კართან მივიდე გასისხლული საათით და არგუმენტირებულად ავუხსნა, რომ იგივე ბედი ელით, სანამ თითოეული მოქალაქის უფლება არ იქნება დაცული!

გუშინ ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებელი წერდა და მახსენებდა ბრიუსელში მომხდარი ახალგაზრდის მკვლელობას. დიახ, მაშინ მთელი ქვეყანა დადგა ფეხზე მის დასაცავად. სანამ იგივე განმეორებულა ჩვენს ქვეყანაში, ველოდები რეაგირებას და, თუ თქვენ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ, ვისაც შეუძლია, მას ვანდოთ ეს საქმე!

მესმის, რომ სისტემამ სინდისისა და კუჭის ძარღვი ძალიან „მიაჭეჭყა“ ერთმანეთს, მესმის შიში სამსახურის დაკარგვისა, მაგრამ ადამიანი სინდისია, მერწმუნეთ და თქვით, ადამიანებო, სიმართლე, ვინც მკვლელი კავილაძის დაკითხვას შეესწარით! გამოაჩინეთ მისი დაკითხვის ოქმი! – წერს ომაძე.

ცნობისთვის, ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებულებს აკო ჭელიძეს 17 წლით, გიორგი კავილაძეს კი 16 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი. თუმცა, გამოძიება მკვლელობის შესაძლო დამკვეთების მიმართულებით ცალკე წარმოებად მიმდინარეობს.

# პროკურორი: „ბადრი ესებუა 2008 წლიდან აყვანილია ამბულატორიულ აღრიცხვაზე ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებული ბადრი ესებუას საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს. როგორც საქმის პროკურორმა დიმიტრი ხვიტიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, ბადრი ესებუა 2009 წლის 27 მაისიდან 1 ივნისამდე მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა.



მისივე თქმით, აღნიშნული ინფორმაცია ესებუამ ფსიქიატრიული დაწესებულების წარმომადგენლებს თავად მიაწოდა. ამასთან, პროკურორის განცხადებით, ესებუა 2008 წლიდან დღემდე აყვანილია ამბულატორიულ აღრიცხვაზე ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში.

ბრალდების მხარემ ამ გარემოების საქმეზე დართვა მოითხოვა და შუამდგომლობა დააყენა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან ესებუას სამედიცინო დოკუმენტების ამოღების მიზნით განჩინების გაცემის თაობაზე, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

აღნიშნულ საკითხზე განჩინების გაცემას დაცვის მხარეც დაეთანხმა.

– როცა ბადრი ესებუა ჯარში მსახურობდა, ასათიანზე იყო გადაყვანილი და ჩანაწერები რომ არსებობდა ვიცოდით. რა თქმა უნდა, ეს მითხრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა. ბრალდებული ამ საკითხთან დაკავშირებით აქამდე არც დაუკითხიათ და არც სამედიცინო დოკუმენტები მოუთხოვიათ, ახლა ითხოვენ მოპოვებას და ჩვენ თანახმა ვართ, – განაცხადა ესებუას ადვოკატმა იოსებ ჯანაშიამ.

სასამართლო პროცესს ბრალდებული ბადრი ესებუაც ესწრებოდა, რომელსაც უკვე ჩაუტარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

შეგახსენებთ, ბადრი ესებუას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების გამო 4-წლიანი პატიმრობა უკვე მიესაჯა. საქმე ეხება 2023 წლის 8 თებერვალს, ჯიხაშკარში, ესებუას დაკავების დროს აღმოჩენილ იარაღს. აღნიშნულ ეპიზოდზე ბრალს აღიარებს დაკავებულიც. „საქართველოს ბანკის“ ძარცვის საქმეზე კი ესებუა ბრალს ამ დრომდე არ აღიარებს.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარსა და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს.



# საჯავახოს გზაზე ავარიას 30 წლამდე ახალგაზრდა ემსხვერპლა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევას 30 წლამდე ახალგაზრდა ემსხვერპლა.

შემთხვევა სოფელ საჯავახოსთან მოხდა. არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ბორდიურს შეეჯახა. გარდაცვლილ ახალგაზრდას ჩვილი ბავშვი ჰყავდა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# 5 ივლისის საქმეზე ოპერატორზე ძალადობაში 2 მსჯავრდებულს სასამართლომ მსჯავრი დაუმძიმა



5 ივლისის საქმეზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოპერატორ ილია თვალიაშვილის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში მსჯავრდებულებს გიორგი წარუაშვილსა და გიორგი მაღრაძეს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრი დაუმძიმა და 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გიორგი მაღრაძესა და გიორგი წარუაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 1 წლითა და 3 თვის ვადით ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა მისჯილი, რომელიც მათ მოიხადეს. თუმცა, მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისინი სასჯელს კიდევ 1 წელი და 9 თვე მოიხდიან. გიორგი მაღრაძე სხდომათა დარბაზში დააკავეს, რაც შეეხება გიორგი წარუაშვილს, მის მიმართ ძებნა გამოცხადდება.

აღნიშნული გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ პროკურატურის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, პროკურატურა სწორედ აღნიშნული ორი პირის მიმართ სასჯელის დამძიმებას ითხოვდა.

რაც შეეხება დანარჩენ 5 პირს, რომლებიც ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის სხვა ეპიზოდზე არიან მსჯავრდებულნი, მათ მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. კერძოდ, ზაზა ჭაავასთვის, მურად დევლარიშვილისთვის შეფარდებული პატიმრობა ერთი წლის ვადით, ძალაში დარჩა, რომელიც მათ უკვე მოხდილი აქვთ. რაც შეეხება გენო გერმანიშვილს, გიორგი ხეჩუაშვილსა და თედო ბურდულს, მათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი, რაც ასევე ძალაში დარჩა. ისინი სასჯელს ამ დრომდე იხდიან.

მსჯავრდებული 7 პირიდან ნაწილი „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის თამარ თათარაშვილის, „ნიუ პოსტის“ ფოტოგრაფის ზურაბ ცერცვაძის, „ფორმულას“ ფოტოგრაფის ვახტანგ ქარელისა და ნაწილი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოპერატორის ილია თვალიაშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში არიან მსჯავრდებულნი.

# რატომ ჭიანურდება ლაზარე გრიგორიადისის პროცესი



21 წლის მომიტინგის ლაზარე გრიგორიადისის მამა ეჭვობს, რომ პროცესი მხოლოდ იმიტომ ჭიანურდება, რომ არცერთ მოსამართლეს აღნიშნული საქმის აღება არ უნდა. ბექა გრიგორიადისის თქმით, მოსამართლეები ახლა ორცეცხლშუა არიან, რადგან არცერთ მათგანს სანქცირება არ სურს.

უკანონოდ დაკავებული 21 წლის ბიჭის მამა ამბობს, რომ უსამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში, ყველაფერს გააკეთებს, რათა ვერდიქტის გამომტანი მოსამართლე დასანქცირდეს.

– ჩვენ გუშინვე უნდა გვცოდნოდა და კაი ხნის წინ უნდა გვცოდნოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არის ის ვარაუდი, რომ მე-5 სანქცირებული მოსამართლე გაჩნდეს საქართველოში და ფიქრობენ, ღირს თუ არა ამ საქმის აღება. ეს ეჭვიც არის, შეიძლება ეშინიათ მოსამართლეებს უკვე, აღარ იციან, რა ქნან, ორცეცხლშუა არიან, არ იციან, რომელი ამოირჩიონ, რუსული უკანა ბოსტანი თუ დასავლეთი. მე ხომ შევპირდი, ვინც არ უნდა იყოს მოსამართლე, ხომ ვიცით, რომ არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, ის აუცილებლად გახდება სანქცირებული, იმიტომ რომ, თუ რამე ჯანი მაქვს და რამეს გავაკეთებ, იმას გავაკეთებ, რომ ეს ადამიანი იქნება სანქცირებული. მოვა დრო, როცა იქნება ნორმალური სასამართლო, როცა გვეყოლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, აუცილებლად ყველა გასამართლდება ასეთ ნორმალურ სასამართლოში, – ამბობს ლაზარეს მამა ბექა გრიგორიადისი.

## მამაკაცმა ცოლის რჩევა გაითვალისწინა და მილიონერი გახდა



მალაიზიის ქალაქ კლანგის მცხოვრები მილიონერი იმის წყალობით გახდა, რომ ცოლის რჩევა გაითვალისწინა და ლატარიის ბილეთი შეიძინა.

მამაკაცის თქმით, ის ყოველთვის ერთსა და იმავე ციფრებიან ლატარიის ბილეთს ყიდულობდა. როდესაც მეუღლესთან ერთად მორიგ ჯერზე შევიდა მალაზიაში ბილეთის შესაძენად, აღმოჩნდა, რომ იმ რიცხვების კომბინაციის ბილეთი უკვე გაყიდული იყო.

მალაიზიელი მაღაზიიდან გამოსვლას აპირებდა, როდესაც ცოლმა სხვა ბილეთის ყიდვა ურჩია. კაცმა გადაწყვიტა, მისი რჩევისთვის ყური ეგდო, გარკვეული დროის შემდეგ კი შეიტყო, რომ მისმა ბილეთმა სამი მილიონი მალაიზიური რინგიტი მოიგო.

– ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ლატარიის გამარჯვებული ვიყავი. აი, რატომ უნდა დაუჯერო ცოლს, – განაცხადა ბედნიერმა ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა.

მამაკაცი აპირებს, მოგებული თანხის ნაწილი სამომავლოდ გადადოს, ხოლო მეორე ნაწილს მეუღლეს ჩააბარებს, ვინაიდან, მისი თქმით, ის მას ჭკვიანურად გაანაწილებს.

## ქალს ყურიდან ცოცხალი ობობა ამოუყვანეს



40 წლის ჩინელ ქალს, რომელიც ყურებში ხმაურს უჩიოდა, ექიმებმა უთხრეს, რომ მის ყურში ობობა იყო ჩასახლებული.

ქალმა გუანდუნის პროვინციის ხუიჩჟოუს ოლქის საავადმყოფოს მიმართა და ექიმს შესჩივლა, რომ მარჯვენა ყურში გამუდმებით უცნაური ხმები ჩაესმოდა. ექიმმა მისი ყურის შიდა ნაწილი გამოიკვლია და მასში უცხო სხეული აღმოაჩინა, მალე კი მიხვდა, რომ ეს თხელი ობობის ქსელი იყო.

ექიმმა ქსელი გასწია და მის უკან პატარა ობობა შენიშნა. მწერი შეეცადა, უფრო ღრმად დამალულიყო, მაგრამ საბოლოოდ ექიმმა მისი ქალის ყურიდან ამოყვანა მოახერხა. საბედნიეროდ, ობობა შხამიანი არ აღმოჩნდა და ამიტომ ქალი ყურის შიდა ნაწილის მსუბუქი დაზიანებებით გადარჩა.

## გოგონამ გამოძახებით კლიენტი სასქესო ორგანოში დაჭრა



მალავიში სექსინდუსტრიის მუშაკს ფულის გამო შელაპარაკება მოუვიდა კლიენტთან და მას, განაწყენებულმა, დანა დაარტყა.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ მანკი-ბეიში 28 აპრილს მოხდა. პოლიციის მონაცემებით, 29 წლის პატრისია უაისონი დათანხმდა, სქესობრივი სახის მომსახურება გაეწია დაშავებული მამაკაცისთვის. ის მასთან სახლში მივიდა და შეთანხმდნენ, რომ სამუშაოს შესრულებაში ათას კვაჩეის მიიღებდა.

უაისონსა და მის კლიენტს შორის კამათი სქესობრივი ურთიერთობის დასრულების შემდეგ დაიწყო. როდესაც მამაკაცმა მისთვის ფულის გადახდაზე უარი თქვა, გაბრაზებულმა გოგონამ გამოძახებით ხელი დანას დასტაცა და კლიენტს რამდენჯერმე ჩაარტყა სასქესო ორგანოში.

უაისონი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს, ხოლო მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ის იქვე დარჩა გამოკვლევის ჩასატარებლად და მკურნალობის გასაგრძელებლად. ექიმები თვლიან, რომ მან შესაძლოა სასქესო ორგანო საერთოდ დაკარგოს ან ველარასოდეს მოახერხოს მისი სქესობრივი ცხოვრებისთვის გამოყენება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „ვაგნერელთა“ ბანდებს კადიროველები ჩაანაცვლებენ?!



ბახმუტში ბრძოლები გრძელდება. ამაოა რუსული არმიის მცდელობა, დაიკავონ ქალაქი. მტერი უდიდეს ზარალს განიცდის. ამ ფონზე ბანდიტური ორგანიზაცია „ვაგნერის“ შეფმა პრიგოჟინმა განაცხადა, რომ მისი ფორმირება 10 მაისს ბახმუტს დატოვებს. უკრაინის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა ჩერნიაკმა, ეს სიტყვები ეჭვქვეშ დააყენა. მისი აზრით, პრიგოჟინი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფიგურას და, უბრალოდ, ვერ გაბედავს ისეთი ნაბიჯის გადადგმას, როგორიცაა ბახმუტის თვითნებურად დატოვება.

მოულოდნელად პრიგოჟინის სიტყვები დაადასტურა ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული მთავრობის მეთაურმა რამზან კადიროვმა. მან თქვა, რომ ფორმირება „ვაგნერი“ 10 მაისს მართლაც დატოვებს ბახმუტს.

ასეა თუ ისე, უდავოა ერთი: პრიგოჟინის პუტინისადმი მიცემული პირობა, ბახმუტს 9 მაისისათვის ავიღებთო, არ შესრულდა. ქალაქისათვის ბრძოლები კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება.

– საეჭვოა, რომ ვაგნერელების შეცვლამ კადიროვის ბანდით რუსეთს რაიმე ხეირი მისცეს. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, – მიიჩნევს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, ბახმუტის შტურმი რუსებისათვის მარცხით დამთავრდა. ის ფაქტი, რომ პრიგოჟინი აშკარად ადანაშაულებს სამხედროებს, კერძოდ კი თავდაცვის მინისტრ შოიგუს და პირდაპირ ეთერში დედის გინებასაც არ ერიდება, ერთ რამეზე მიუთითებს: რუსეთის სამხედრო ელიტაში დიდი დაპირისპირებაა. სამხედროებს ვერ მოუნელებიათ ის ფაქტი, რომ პრიგოჟინი თავის დროზე პუტინმა წინ წამოსწია. მიზანი ცხადი იყო: ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს სამხედროების გავლენის ზრდის შეეშინდა.

პრიგოჟინი ნასამართლევი კაცია. მის ალზევებასაც რუსული გენერალიტეტი აგრესიულად შეხვდა. პრიგოჟინმა კი ცეცხლზე ნავთი დაასხა. მან თქვა, რომ რუსული არმია ცუდადაა მომზადებული, ვაგნერელთა ფორმირება კი გაცილებით უკეთესადაა გაწვრთნილი. პრიგოჟინმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამა წლის 9 მაისს ბახმუტი აღებული იქნება. 9 მაისი უკვე შორს არ არის, ბახმუტის აღება კი ვერ მოხერხდა. პრიგოჟინმა ამაში სამხედროები დაადანაშაულა, აქაოდა, იარაღს არ გვაძლევენო, შემდეგ ბახმუტიდან „ვაგნერელთა“ ფორმირების გაყვანის თაობაზეც გამოაცხადა. მას მხარი დაუჭირა რამზან კადიროვმა. როგორც ჩანს, მალე მისი ფორმირება „ახმატი“ ბახმუტში ვაგნერის ბანდებს შეცვლის.

# დასავლეთმა უკრაინის გამარჯვების ირწმუნა

დასავლეთი უკრაინისადმი დახმარებას აძლიერებს. ამის შესახებ განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ. მან თქვა, რომ აშშ და ევროკავშირი უკრაინას უკვე ისეთ იარაღს გადასცემენ, რაზეც ადრე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

– ეს ცხადლივ მიუთითებს ერთზე: დასავლეთმა უკრაინის გამარჯვების ირწმუნა, – თქვა ზელენსკიმ.

# ტრაგედია ტეხასში

ქალაქ დალასში (შტატი ტეხასი) ტრაგედია მოხდა. ადგილობრივი სავაჭრო ცენტრის შენობაში უცნობმა პირმა სროლა ატეხა. შედეგად დაიღუპა 9 ადამიანი, რამდენიმე დაშავდა. თავად თავდამსხმელი პოლიციამ მოკლა. მკვლელი შავ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. პოლიცია ამაოდ ეძებდა მის თანამზრახველს. მკვლელი მარტო მოქმედებდა.

# უკრაინელი პატრიოტები მიტროპოლიტ ონუფრის დაპატიმრებას მოითხოვენ

კიევო-პეჩერსკის ლავრაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) მიტროპოლიტი ონუფრი გამოცხადდა. შესასვლელთან მას უკრაინელი პატრიოტების ჯგუფი დახვდა. ისინი სკანდირებდნენ:

– მოვითხოვთ ონუფრის დაპატიმრებას! თავად ონუფრიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ (მოსკოვის საპატრიარქოსი) რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საზოგადოება

# აკაკი ბაქრაძე 95 წლის გახდებოდა



პუბლიცისტი და კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე 95 წლის გახდებოდა. მისი შემოქმედება დღესაც აქტუალურია და ქართველ საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ აკაკი ბაქრაძე მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაზეთის ლიტმუშაკად, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „განათლების“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, რუსთაველის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტად.

აკაკი ბაქრაძე კითხულობდა ლექციებს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოგვიანებით გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა მისი საჯარო ლექციები ლიტერატურულ, ისტორიულ თუ ეროვნულ საკითხებზე.

# დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს ტერიტორიას ართმევენ



პუბლიცისტისა და მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს, რომელიც სოფელ ქვიშხეთში მდებარეობს, ტერიტორიას ართმევენ.

ინფორმაცია გიორგი ჩუბინიძემ გაავრცელა:

– ერთ პატარა და მნიშვნელოვან საკითხზე მივიპყრობ თქვენს ყურადღებას, რომელსაც საზოგადოების ჩართულობა სჭირდება. წლების წინ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ირგვლივ რა ამბები დავატრიალეთ, გემახსოვრებათ. დღეს მუზეუმი ჩვენი ერთსულოვანი საზოგადოებრივი ჩართულობით რეაბილიტირებული და მოქმედია.

წარმოიდგინეთ, რომ მუზეუმი, რომელიც სოფელ ქვიშხეთში მდებარეობს, ფაქტობრივად, ეზოს გარეშეა. ის ეზო, არაოფიციალურად, წლებია, მუზეუმს ეკუთვნის, მაგრამ ხაშურის მერიის ბალანსზეა. ახლახან გავიგეთ, რომ მიტაცებულია მის გვერდით მდებარე სასტუმრო „მწერლების“ მიერ და ამას თავად მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელი, ბატონი თამაზ ლაცაბიძეც ადასტურებს.

მუზეუმს წინ დაუტოვეს მცირე ადგილი, დანარჩენს ასე თვითნებურად ღობე შემოავლეს და გამალებით მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები. არ ვიცი, თავის დროზე რატომ არ ატეხეს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა ერთი ამბავი, რადგან, ღობეს რომ აკეთებდნენ, რას ფიქრობდნენ, რისთვის კეთდებაო, არ ვიცი, მაგრამ, ის კი ვიცი, რომ გარკვეული მიზეზების გამო ადამიანთა ნაწილმა ვერ ან არ თქვა სათქმელი. ან რატომ დუმს ხაშურის მერია, როცა საკუთარ დაქვემდებარებულ მიწაზე მშენებლობა მიმდინარეობს და მუნიციპალიტეტის უმნიშვნელოვანეს მუზეუმს ტერიტორიას ართმევენ, არც ეს ვიცი.

მუზეუმი ხალხს, საზოგადოებას ეკუთვნის, მერიის ბალანსზე არსებული მიწაც საზოგადოებრივი საკუთრებაა და კერძო პირს არა აქვს უფლება, ასე მიითვისოს ჩვენი საკუთრება. ფაქტია, რომ დიდი ბურუსია საკითხის ირგვლივ.

დიმიტრი ყიფიანი, შეგახსენოთ, ვინ იყო? ტფილისის ქალაქის თავი – ახლანდელი გაგებით, თბილისის მერი, თბილისში არაერთი იმდროინდელი რეფორმის ავტორი, თავადაზნაურობის წინამძღოლი ტფილისსა და ქუთაისში, პირველი არასამთავრობო ორგანიზაციის დამაარსებელი და თავმჯდომარე – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით რომ ვიცნობთ.

მოკლედ, დიდი პერსონა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში და, ბევრი მიზეზი გვაქვს იმისთვის, რომ ამ საკითხის ირგვლივ გავერთიანდეთ საზოგადოების ნებისმიერი წევრი და მოვითხოვოთ გავარკვიოთ, რა ხდება და რატომ ხდება ასე!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## სპორტი

# ნაპოლის ზეიმი კამორამ გამოიყენა



ნაპოლის სკუდეტოს ზეიმობისას ნეაპოლში 26 წლის მამაკაცი მოკლეს. ვინჩენცო კოსტანცო უბან პონტიჩელიში ცხოვრობდა და, სავარაუდოდ, დამიჩოს კრიმინალურ კლანთან იყო დაახლოებული.

მოკლულის ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა ჯავრი საავადმყოფოზე იყარეს – მიმღები დალეწეს.

საავადმყოფოში კიდევ სამი ადამიანია – სამივე ცეცხლსასროლი იარაღით არის დაჭრილი და იმავე ინციდენტის მონაწილეები არიან, რომლის დროსაც კოსტანცო დაიღუპა. ფეხშია დაჭრილი 26 წლის ქალიც. დაჭრილები არიან 24 და 20 წლის ახალგაზრდები. მათ მკურნალობას დაახლოებით ორი კვირა დასჭირდება.

პოლიცია და კარაბინერები საქმის ცხელ კვალზე გამოძიებას ცდილობენ. ნეაპოლის მერმა გაეტანო მანფრედიმ კი განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ნაპოლის ჩემპიონობასთან კავშირში არ არის.

**გაეტანო მანფრედი:**

– ნაპოლი ყოველთვის ქალაქთან იყო გაიგივებული. ამჯერად გუნდმა განსაკუთრებული გამარჯვება მოიპოვა, რომელიც არაფერ შუაშია იმასთან, რასაც მავანნი ფიქრობენ. ნეაპოლი დიდი ქალაქია, დიდი ისტორიითა და მომავლით. ნაპოლის ჩემპიონობამ დაგვანახა, რომ თუ ამ ქალაქში ნიჭს, ჟინსა და სწორ დაგეგმვას თავს მოუყრი, მსოფლიოში უძლიერესი გახდები.

რაც შეეხება დანაშაულს, კამორამ ჩაიდინა. მკვლელიცა და მოკლულიც კლანთან არიან კავშირში. ყოველთვის ასე ხდება, როდესაც ქუჩაში ბევრი ხალხი გამოდის. მათთვის ეს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაა. ვიღაც ხალხმრავლობას ადამიანის მოსაკლავად იყენებს, მაგრამ ამას, რასაკვირველია, ზეიმთან არანაირი კავშირი არა აქვს.

ნაპოლის ჩემპიონობის დღეს მართლაც საუცხოო ზეიმი გაიმართა. მართალია, ზოგმა ხელი იღრძო, ზოგმა მაშხალასთან გაუფრთხილებლობის გამო დამწვრობა მიიღო, მაგრამ, ჯამში, ჩვენმა მოქალაქეებმა ცივილიზებულობა გამოამჟღავნეს და სიამაყის საბაბი მოგვცეს.

# გიორგი სარდალაშვილი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია



დოჰაში დაწყებული ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველივე დღე საქართველოს დელეგაციისთვის წარმატებული გამოდგა. 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი გიორგი სარდალაშვილმა მოიპოვა.

მედლისკენ მიმავალ გზაზე 19 წლის ქართველმა ჯერ ზამბიელი საიმონ ზულუ, შემდეგ კი ავსტრიელი მარკუს აუერი დაამარცხა, მაგრამ მეოთხედფინალში ესპანელ ფრანსისკო გარიგოსთან დამარცხდა და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც მედლისთვის ყაზახ ნურკანატ სერიკბაევი და ბელგიელი ორ ვერსტრაეტენი დაჯაბნა და პოდიუმზე შედგა.

დოჰაში ქართველთაგან შემდეგი ვაჟა მარგველაშვილი (66კგ) იჭიდავებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# აქლემი ბავშვს თავს დაესხა და თავზე უკბინა



თურქეთის ქალაქ დენიზლის ზოოპარკში აქლემი თავს დაესხა ბავშვს, რომელმაც არაფრად ჩააგდო ვოლიერთან გაკეთებული წარწერა, რომელიც ცხოველებთან მიახლოებას კრძალავდა და მას თავსა და კისერზე უკბინა.

ათი წლის ბავშვი მეტისმეტად ახლოს მივიდა გარეულ ცხოველთან და ამით გაფრთხილება დაარღვია. შედეგად კი აქლემმა მას პირი თავსა და კისერში ჩაავლო და მაღლა ასწია.

ბიჭის ოჯახის წევრებმა მისი ცხოველის ყბებისგან გათავისუფლება შეძლეს. შეშინებულმა ბავშვმა ტირილი დაიწყო, თუმცა ის მშობლებმა მალევე დაამშვიდეს.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ექიმები მივიდნენ და ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბიჭის მდგომარეობას ექიმები აფასებენ, როგორც სტაბილურს.

# ვოლიერში შემძვრალი ბავშვი ძუ ლომმა იმსხვერპლა



პალესტინის ღაზის სექტორში მდებარე ქალაქ ხან-იუნისში ძუ ლომმა დაგლიჯა ბავშვი, რომელიც მის გალიაში შეძვრა.

დასასვენებელ სახლთან არსებულ სამხეცეში ორი ლომი ბინადრობდა. ექვსი წლის ბავშვმა დამცავი ღობის პატარა ხვრელში გაძრომა მოახერხა და თავი მტაცებელი ცხოველების გალიაში ამოყო. მას მაშინვე თავს დაესხა ძუ ლომი და კბილებით თავში ჩააფრინდა.

დაწესებულების უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა დასისხლიანებული ბიჭის ცხოველისთვის წართმევა მოახერხეს. მიუხედავად ექიმების ძალისხმევისა, ბავშვი დაიღუპა.

პოლიციამ მომხდარი ფაქტის გამოძიება დაიწყო, ხოლო დასასვენებელი სახლი დროებით დაიხურა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# რუსთავი ნახევარფინალს მიუახლოვდა, მარგვეთი ავტორიტეტებს არ ცნობს

**თსუ-მარგვეთი 93:95**
**(23:28; 23:19; 23:23; 24:25)**



ფლეი ოფში ბოლო წამს და ბოლო ადგილით გასულმა მარგვეთმა დაამტკიცა, რომ რეგულარული სეზონის გამარჯვებულ ოლიმპს მეოთხედფინალურ სერიაში შემთხვევით არ მოუგო. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდს რომ პოტენციალი გააჩნია, მან ეს სეზონის განმავლობაში არაერთხელ დაამტკიცა, ხოლო კიდევ ერთი ხმაურიანი გამარჯვება მარგვეთმა სუპერლიგის ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში მოიპოვა.

მარგვეთი მოპოვებული გამარჯვებისთვის განსაკუთრებით შესაქებია, თუ გათვალისწინებით, რომ სერიის პირველი შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან 17 ქულით, თითქმის უშანსოდ ჰქონდა წაგებული. მომდევნო მატჩში მარგვეთმა ერთ-ერთი ლეგიონერი და გუნდის ბომბარდირი, რონი როზიე მოისაკლისა, ხოლო გუნდის კიდევ ერთმა ლიდერმა, ოთარ ბულიავამ თამაშის დასრულებამდე 6 წუთით წუთით ადრე, როცა ქულა-ქულაში თამაში მიდიოდა, ფეხის ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა.

ყოველივე ამის შემდეგ მარგვეთმა კბილებით დაიცვა ის ლიდერობა, რომლის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად მთელი თამაში იბრძოდა. მარგვეთი თავიდანვე მედგრად დაუდგა თსუ-ს და კომბინირებული თამაშით უპირატესობას არ თმობდა. ბოლო წამებამდე გამარჯვებულის ვინაობა არ იყო გარკვეული. ყველაფერი ნერვების თამაშმა გადაწყვიტა. ბოლო წუთზე ორივე გუნდმა უხვად ესროლა საჯარიმოები, რაშიც მარგვეთის კალათბურთელები 100-პროცენტიანები გამოდგნენ და გაიმარჯვეს კიდეც. თსუ-ს ბოლო წამზე შანსი მიეცა, როცა მალკოლმ დრამრაითმა მეორე საჯარიმო ააცილა, ბურთი ცინცაძემ მოხსნა, ჯიმონ ჰენსონს გადააწოდა, რომელმაც გამარჯვების სამქულიანი გააცუდა.

მარგვეთმა 95:93 იმარჯვა და სერია გაათანაბრა – 1:1.

გამარჯვებულთაგან მარქუს გილსონი 21 ქულით, 10 მოხსნითა და 5 პასით გამოირჩა; 18 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი შეუცვლელად მოთამაშე ზაკ უოლტონმა მიითვალა; ნიკა ჩეჩელაშვილის ანგარიშზე 22 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი დაგროვდა; თსუ-ში საუკეთესო შედეგი, წინა მატჩის მსგავსად, გიორგი ცინცაძემ დააფიქსირა: 17 ქულა, 9 პასი, 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა.

**რუსთავი-კავკასია 88:81 (ოტ)**
**(19:30; 24:13; 13:17; 22:18; 10:3)**

ძალიან დაძაბულ, ოვერტაიმიან შეხვედრაში რუსთავმა კავკასია 88:81 დაამარცხა და ნახევარფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურდა. რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზი ტრადიციულად ბოლომდე გაივსო, მასპინძელთა გუნდს მხურვალე გულშემატკივრობა უმაგრებდა ზურგს და რუსთაველებმაც ძალიან დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში იმარჯვეს. რუსთაველებს ფინალამდე 1 გამარჯვება აკლიათ.

გადამწყვეტი წუთები განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა. პირველი მატჩისგან განსხვავებით, კავკასიამ ბევრად შედეგიანად ითამაშა. მატჩის უმეტეს დროს თბილისელები იგებდნენ. პირველი პერიოდის მიწურულს კავკასია 15 ქულით – 24:9 ლიდერობდა, მაგრამ ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. პირველი პერიოდის ბოლოსთვის მასპინძლებმა ჩამორჩენა 11 ქულამდე შეამცირეს და მეორე მეოთხედიდან თამაშზე სრული კონტროლი დაამყარეს. თამაშის მე-15 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა – 35:35.

ამის შემდეგ თანაბარი თამაში გაგრძელდა. ხან ერთი გუნდი გალიდერდებოდა, ხან – მეორე, თანაბარი ანგარიში 9-ჯერ დაფიქსირდა, ხოლო ლიდერი 14-ჯერ შეიცვალა. მატჩის ძირითადი დროის ბოლო წუთებში რუსთაველებმა 5-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს. თამაშის დასრულებამდე სამწუთ-ნახევრით ადრე კავკასია 76:71 იგებდა. თუმცა, ტრეი კროფტმა ჯერ ორქულიანი, შემდეგ შეტევაში კი სამიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრდა.

ბოლო წუთზე გუნდებმა უშედეგო შეტევები გაცვალეს და ძირითადი დრო ამოიწურა. დამატებით 5-წუთეულში მასპინძლებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. ოვერტაიმი 10:3 მოიგეს და მორიგი გამარჯვებით სერიაში 2:0 დაწინაურდნენ.

რუსთაველთაგან 22 ქულითა და 8 მოხსნით ტრეი კროფტი გამოირჩა; საერთო სარგებლიანობით საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი – 14 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა; 24 ქულა დააგროვა რეზო როგავამ; 15 ქულა და 7 პასი ლუკა ბულაშვილის ანგარიშზეა; კავკასიელთაგან 21 ქულით საუკეთესო იყო ილია ლონდარიძე; 16 ქულით დაასრულა შეხვედრა ჯასტინ ფორესტმა.

# შავი ლომი სამხრეთ ამერიკიდან მინუსით მოდის



პირველმა ქართულმა პროფესიულმა სარაგბო ფრენჩაიზმა სამხრეთამერიკული ტურნე დაასრულა. შავმა ლომმა ოკეანის გაღმა ბოლო, მეხუთე მატჩი ურუგვაულ ფრენჩაიზ პენიაროლთან 31:35 წააგო.

მართალია, მარცხსა თუ გამარჯვებას არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ქართველთა ყველა მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ, მაინც უნდა ითქვას, რომ ეს ბოლო მატჩიც რეფერიმ წაგვაგებინა. წინა შეხვედრებში ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ მსაჯს ხუთი ქართული ლელო გაეუქმებინა, პენიაროლთან კი თითქმის მოგებული მატჩის დასრულება ქართველებს 13 კაცის შემადგენლობით მოუხდათ – რეფერიმ ჩვენი ბიჭები ისეთ ამბებზე გაასინზინა, რასაც მასპინძლების მხრიდან საერთოდ ვერ ამჩნევდა.

სამწუხაროდ, მსაჯის არაპროფესიონალიზმი თუ მიკერძოება ამერიკულ გუნდებს მე-16 მოთამაშედ ევლინებოდა ხოლმე. თუმცა, მიუხედავად ამ აშკარა, ზედაპირზე მყოფი უსამართლობისა, შავი ლომისა და ბორჯღალოსნების ხელმძღვანელობა კმაყოფილი უნდა იყოს სამხრეთამერიკული ვოიაჟით. ჩვენმა ბიჭებმა ახალი გამოცდილება მიიღეს, განსხვავებული სტილის მეტოქეებთან ადაპტირება ისწავლეს, სათამაშო პრაქტიკა მიიღეს, თან ეს ყველაფერი – საუკეთესო პირობებში: მონტევიდეოსა და ბუენოს აირესში. დასანანი მხოლოდ ტრავმებია – სამწუხაროდ, ეროვნული ნაკრების რამდენიმე წამყვანმა ფიგურამ სერიოზული დაზიანება მიიღო და მათი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ლევან მაისაშვილი თბილისში ჩამოსვლისა და ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ გამოაქვეყნებს.

შავმა ლომმა სამხრეთამერიკულ ტურნეში საწყისი ორი მატჩი მოიგო, ხოლო შემდეგ ზედიზედ სამი თამაში წააგო.

# ბასილაშვილი დაქვეითდა



ატპ-მ განახლებული კლასიფიკაცია გამოაქვეყნა და ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი კიდევ უფრო დაქვეითდა. ჩვენებურმა 35 პოზიცია დაკარგა და 336 ქულით ახლა 173-ე ადგილზე იმყოფება. ბასილაშვილი ასეთ დაბალ პოზიციაზე 2015 წლის მარტის შემდეგ არ ყოფილა.

სწორედ ამის შედეგია, რომ 31 წლის ჩოგბურთელი რომის მასტერს საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიწყებს. ბასილაშვილი კვალიფიკაციაში 22-ე ნომრად არის განთესილი და პირველი მეტოქედ „უაილდ ქარდის" მქონე იტალიელ ფლავიო კობოლი ეყოლება.

გასულ წელს ბასილაშვილი რომის მასტერსზე ძირითად ბადეში იყო დაშვებული და მეორე რაუნდში კანადელ დენის შაპოვალოვთან დამარცხდა.

# შედეგები

## 7 მაისი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-არსენალი ........ 0:2
ვესტ ჰემი-მანჩესტერი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 35 | 25 | 6 | 4 | 83-39 | 81 |
| 2.სიტი | 34 | 26 | 4 | 4 | 89-31 | 82 |
| 3.ნიუკასლი | 34 | 18 | 11 | 5 | 61-29 | 65 |
| 4.მანჩესტერი | 34 | 19 | 6 | 9 | 49-41 | 63 |
| 5.ლივერპული | 35 | 18 | 8 | 9 | 67-42 | 62 |
| 6.ტოტენჰემი | 35 | 17 | 6 | 12 | 64-57 | 57 |
| 7.ბრაიტონი | 32 | 16 | 7 | 9 | 62-40 | 55 |
| 8.ასტონ ვილა | 35 | 16 | 6 | 13 | 46-43 | 54 |
| 9.ბრენტფორდი | 35 | 12 | 14 | 9 | 52-45 | 50 |
| 10.ფულემი | 34 | 13 | 6 | 15 | 45-46 | 45 |
| 11.ჩელსი | 34 | 11 | 9 | 14 | 34-39 | 42 |
| 12.კრ.პალასი | 35 | 10 | 10 | 15 | 35-46 | 40 |
| 13.ვულვზი | 35 | 11 | 7 | 17 | 30-50 | 40 |
| 14.ბორნმუთი | 35 | 11 | 6 | 18 | 37-67 | 39 |
| 15.ვესტ ჰემი | 35 | 10 | 7 | 18 | 38-50 | 37 |
| 16.ლესტერი | 34 | 8 | 6 | 20 | 46-59 | 30 |
| 17.ლიდსი | 35 | 7 | 9 | 19 | 44-69 | 30 |
| 18.ნოტინგემი | 34 | 7 | 9 | 18 | 30-62 | 30 |
| 19.ევერტონი | 34 | 6 | 11 | 17 | 27-52 | 29 |
| 20.საუთჰემპტონი | 34 | 6 | 6 | 22 | 28-60 | 24 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ვოლფსბურგი ........ 6:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 19 | 8 | 4 | 83-34 | 65 |
| 2.დორტმუნდი | 31 | 20 | 4 | 7 | 73-40 | 64 |
| 3.ლაიფციგი | 31 | 17 | 6 | 8 | 55-37 | 57 |
| 4.უნიონი | 31 | 16 | 8 | 7 | 44-32 | 56 |
| 5.ფრაიბურგი | 31 | 16 | 8 | 7 | 46-38 | 56 |
| 6.ლევერკუზენი | 31 | 14 | 6 | 11 | 54-43 | 48 |
| 7.ვოლფსბურგი | 31 | 12 | 10 | 9 | 54-43 | 46 |
| 8.მაინცი | 31 | 12 | 9 | 10 | 51-46 | 45 |
| 9.აინტრახტი | 31 | 11 | 10 | 10 | 51-49 | 43 |
| 10.გლადბახი | 31 | 10 | 9 | 12 | 46-48 | 39 |
| 11.კიოლნი | 31 | 9 | 11 | 11 | 42-49 | 38 |
| 12.ვერდერი | 31 | 10 | 5 | 16 | 49-60 | 35 |
| 13.აუგსბურგი | 31 | 9 | 7 | 15 | 40-55 | 34 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 31 | 9 | 5 | 17 | 42-52 | 32 |
| 15.შალკე | 31 | 7 | 9 | 15 | 31-59 | 30 |
| 16.შტუტგარტი | 31 | 6 | 10 | 15 | 39-54 | 28 |
| 17.ბოხუმი | 31 | 8 | 4 | 19 | 33-69 | 28 |
| 18.ჰერტა | 31 | 6 | 7 | 18 | 37-62 | 25 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ზანდჰაუზენი ........ 2:1
ნიურნბერგი-კაიზერი ........ 3:3
ჰაიდენჰაიმი-მაგდებურგი ........ 0:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვილიარეალი ბ-ხიხონი ........ 2:0
იბიცა-ალბასეტე ........ 0:5
პონფერადინა-მალაგა ........ 2:0
ლუგო-ანდორა ........ 2:2
ოვიედო-სარაგოსა ........ 2:1
კარტახენა-ბურგოსი ........ 0:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-იუვენტუსი ........ 0:2
ტორინო-მონცა ........ 1:1
ნაპოლი-ფიორენტინა ........ 1:0
ლეჩე-ვერონა ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 34 | 26 | 5 | 3 | 70-23 | 83 |
| 2.იუვენტუსი | 34 | 20 | 6 | 8 | 52-28 | 66 |
| 3.ლაციო | 34 | 19 | 7 | 8 | 52-26 | 64 |
| 4.ინტერი | 34 | 20 | 3 | 11 | 62-35 | 63 |
| 5.მილანი | 34 | 17 | 10 | 7 | 55-39 | 61 |
| 6.ატალანტა | 34 | 17 | 7 | 10 | 56-41 | 58 |
| 7.რომა | 34 | 17 | 7 | 10 | 45-33 | 58 |
| 8.ფიორენტინა | 34 | 12 | 10 | 12 | 45-40 | 46 |
| 9.მონცა | 34 | 12 | 10 | 12 | 42-45 | 46 |
| 10.ტორინო | 34 | 12 | 10 | 12 | 36-39 | 46 |
| 11.ბოლონია | 33 | 12 | 9 | 12 | 42-43 | 45 |
| 12.უდინეზე | 33 | 10 | 13 | 10 | 43-41 | 43 |
| 13.სასუოლო | 33 | 12 | 7 | 14 | 40-49 | 43 |
| 14.სალერნიტანა | 33 | 7 | 14 | 12 | 41-54 | 35 |
| 15.ემპოლი | 33 | 8 | 11 | 14 | 29-43 | 35 |
| 16.ლეჩე | 34 | 7 | 10 | 17 | 28-41 | 31 |
| 17.ვერონა | 34 | 7 | 9 | 18 | 28-51 | 30 |
| 18.სპეცია | 34 | 5 | 12 | 17 | 28-56 | 27 |
| 19.კრემონეზე | 34 | 4 | 12 | 18 | 31-59 | 24 |
| 20.სამპდორია | 33 | 3 | 8 | 22 | 20-59 | 17 |

**იტალია. სერია ბ**

პარმა-ბრეშა ........ 2:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ანჟე-მონაკო ........ 1:2
აიაჩო-ტულუზა ........ 0:0
ლორიანი-ბრესტი ........ 2:1
ნანტი-სტრასბური ........ 0:2
ოსერი-კლერმონი ........ 1:1
ლიონი-მონპელიე ........ 5:4
ტრუა-პსჟ ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 25 | 3 | 6 | 79-35 | 78 |
| 2.ლანსი | 34 | 21 | 9 | 4 | 57-26 | 71 |
| 3.მარსელი | 34 | 21 | 7 | 6 | 62-34 | 70 |
| 4.მონაკო | 34 | 19 | 7 | 8 | 68-51 | 64 |
| 5.ლილი | 34 | 17 | 8 | 9 | 60-41 | 59 |
| 6.რენი | 34 | 17 | 5 | 12 | 56-38 | 56 |
| 7.ლიონი | 34 | 16 | 8 | 10 | 57-41 | 56 |
| 8.ნიცა | 34 | 13 | 12 | 9 | 42-32 | 51 |
| 9.ლორიანი | 34 | 14 | 9 | 11 | 48-46 | 51 |
| 10.რეიმსი | 34 | 12 | 14 | 8 | 41-35 | 50 |
| 11.კლერმონი | 34 | 14 | 8 | 12 | 37-44 | 50 |
| 12.მონპელიე | 34 | 13 | 4 | 17 | 56-57 | 43 |
| 13.ტულუზა | 34 | 12 | 6 | 16 | 48-55 | 42 |
| 14.ბრესტი | 34 | 8 | 11 | 15 | 38-50 | 35 |
| 15.სტრასბური | 34 | 8 | 11 | 15 | 44-57 | 35 |
| 16.ოსერი | 34 | 8 | 10 | 16 | 32-56 | 34 |
| 17.ნანტი | 34 | 6 | 14 | 14 | 35-50 | 32 |
| 18.აიაჩო | 34 | 6 | 5 | 23 | 22-61 | 23 |
| 19.ტრუა | 34 | 4 | 10 | 20 | 42-73 | 22 |
| 20.ანჟე | 34 | 3 | 5 | 26 | 28-74 | 14 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-რიუ ავე ........ 2:2
გიმარაეში-ვიზელა ........ 3:0
ფერეირა-სპორტინგი ........ 0:4

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ემენი-ტვენტე ........ 0:3
იგლზი-გრონინგენი ........ 1:1
ექსელსიორი-ფეინოორდი ........ 0:2
სიტარდი-ვიტესი ........ 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-გენკი ........ 2:1
ვესტერლო-სერკლი ........ 3:5

**თურქეთი. სუპერლიგა**

უმრანიე-სივასი ........ 4:1
ქონია-ქაისერი ........ 2:2
გირესუნი-ფენერბახჩე ........ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-შტურმი ........ 1:2
კლაგენფურტი-ლინცერი ........ 1:1
ზალცბურგი-რაპიდი ........ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-სელტიკი ........ 0:2
რეინჯერსი-აბერდინი ........ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ლუგანო ........ 2:2
ბაზელი-ციურიხი ........ 0:2
გრასჰოპერსი-სერვეტი ........ 2:3

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სიგმა-სპარტა ........ 0:1
სლავია-ბოჰემიანსი 1905 ........ 6:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-სტალი ........ 0:0
კორონა-ჩენსტოხოვა ........ 1:0
პოგონი-ლეგია ........ 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალისტი-ლვოვი ........ 1:0
ჩერნომორეცი-დნიპრო ........ 1:2
ოლექსანდრია-შახტარი ........ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ბრონდბიუ ........ 1:3
ორხუსი-ვიბორგი ........ 3:0
ოლბორგი-ჰორსენსი ........ 4:0
ლუნგბიუ-მიდტიულანდი ........ 2:1
სილკებორგი-ოდენსე ........ 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-აიკი ........ 3:1
ჰალმშტადი-ჰაკენი ........ 1:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-სტრომგოდსეტი ........ 1:1
ალესუნდი-ჰაუგესუნდი ........ 0:0
სტაბეკი-სარპსბორგი ........ 1:1
ტრომსო-ოდი ........ 0:1
ჰამკამი-მიოლდე ........ 0:4
ლილესტრიომი-ბოდო ........ 1:2

# თელავმა და ტორპედომ მწვრთნელები გაუშვეს

როგორც ჩანს, 8 მაისი ქართული კლუბებისთვის მწვრთნელების გამოცვლის დღეა. მე-13 ტურის წინ, რომელიც ხვალ უნდა დაიწყოს, ორი ქართული კლუბი მწვრთნელის გარეშეა.

საფეხბურთო კლუბ თელავის პრესსამსახურის ცნობით, კახურ გუნდს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მთავარი მწვრთნელი ვარდან მინასიანი დაემშვიდობა.

მთავარ მწვრთნელთან ერთად, გუნდი მისმა თანაშემწეებმა არტაკ ოსეიანმა და არტურ მკრტჩიანმაც დატოვეს.

კლუბის ცნობითვე, ახალ მთავარ მწვრთნელთან მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, დასრულებულია და უახლოეს მომავალში ცნობილი იქნება.

ვარდან მინასიანი 7 ტური იყო თელავის მწვრთნელი. 2 ფრე და 5 წაგება – ასეთია მინასიანის მონაგარი, რაც კლუბის ხელმძღვანელობას არ მოეწონა.

თელავიდან ვარდან მინასიანის წასვლის შემდეგ გუნდი ქუთაისის ტორპედოს მთავარმა მწვრთნელმა კახა ჩხეტიანმაც დატოვა.

ინფორმაციას რიონისპირული კლუბის პრესსამსახური ავრცელებს.

– ქუთაისის ტორპედოს მენეჯმენტისა და მთავარი მწვრთნელის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კახაბერ ჩხეტიანმა თანამდებობა დატოვა. ტორპედო ჩხეტიანს გამორჩეული ღვაწლისთვის მადლობას უხდის. ჩხეტიანი დარჩება ტორპედოს ღირსეული ისტორიის ნაწილი, რაც თავის მხრივ კლუბის მომავალი წარმატების საფუძველია.

გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისის ტორპედოს მთავარი მწვრთნელი, შესაძლოა, გერმანელი სპეციალისტი გახდეს. სავარაუდოდ, ეს მანუელ ბაუმი უნდა იყოს. საქმე ის არის, რომ ტორპედოს მფლობელმა, „ნიუ ვიჟენის" რექტორმა დავით კერესელიძემ ბაუმი რამდენიმე ხნის წინ ფაკულტეტის დეკანად ჩამოიყვანა. როგორც ჩანს, ახლა გუნდსაც ჩააბარებს.

43 წლის ბაუმი 2020 წელს 3 თვე შალკეს მთავარი მწვრთნელი იყო, მანამდე გერმანიის 18 და 20 წლამდე ნაკრებებშიც უმუშავია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ესპანური შემაგრებული ღვინო; 2. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 3. კუთხე საქართველოში; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიეტუვაში; 8. ბერ-მონაზონთა საეკლესიო, საადგილმამულო კომპლექსი; 9. მკვეთრად გამოხატული სხვაობა; 11. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. მდინარე ბოლნისში; 19. ავსტრიელი ექიმ-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. 21. შვედური ავტომობილი.

**თარაზულად:** 5. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 13. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში; 15. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 18. მადნის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 20. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქალაქში; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე წამალთმცოდნე; 23. დიდი ზომის სარეკლამო პლაკატი; 24. ვერტმფრენის ძველებური სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრერია; 2. ოპტიკა; 3. კანტე; 5. დოლი; 6. კაჭიჭი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. ზინდანი; 14. ბალასტი; 15. ფილიპსი; 19. თუნი.

**თარაზულად:** 1. პინაკოთეკა; 8. ბოტდეკი; 7. ექოლოტი; 9. ტრუიზმი; 10. სარკე; 12. ვესტერნი; 16. ლაგოდეხი; 17. ენისელი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. ფითი; 22. დანსინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თაგორი; 2. მურმანი; 3. ალკარასი; 4. სიმფონია; 8. პერგამონი; 9. ამაშუკელი; 11. ბენზემა; 12. ქორო; 14. ორლი; 16. პროგრამა; 17. მონბალანი; 19. კრიშნა; 21. რავიუ.

**თარაზულად:** 5. ფლემინგი; 6. ირიგაცია; 7. ბურჭულაძე; 10. ხარები; 13. გრაცია; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. ტალინი; 22. ჰეინიკენი; 23. ემბრიონი; 24. სიტროენი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

9 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4830

ევრო — 2.7430

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1440

100 რუსული რუბლი — 3.2257

## ამინდის პროგნოზი 9 მაისისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაფინიამ შესაძლოა ბარსელონა დატოვოს



ბარსელონის ბრაზილიელმა ფორვარდმა რაფინიამ შესაძლოა ზაფხულში გუნდი დატოვოს, რადგან მომავალ სეზონში ის ფიქრობს, რომ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ყოფნა. რაფინიას შეძენა რამდენიმე გუნდს სურს და მათ შორის არის არსენალიც, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 60 მილიონი გადაიხადოს. ჩავის სურს, რომ რაფინია დარჩეს და ის მის დარწმუნებას შეეცდება.

## სტეფანო პიოლი: „ინტერის დამარცხება შეგვიძლია"



მილანის მთავარმა მწვრთნელმა სტეფანო პიოლიმ ინტერთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ინტერის დამარცხება და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა. პიოლის აზრით, ორივე შეხვედრა ძალიან დაძაბული და დრამატული იქნება: „მინდა, რომ მაყურებელმა დაუვიწყარი სანახაობა იხილოს და მე შევეცდები, ჩემს გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. ვიცი ჩემი ფეხბურთელების შესაძლებლობები. ჩვენ ინტერის დამარცხება შეგვიძლია".

## ერლინ ჰოლანდი: „რეალთან მატჩს მოუთმენლად ველი"



მანჩესტერ სიტის ნორვეგიელმა ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა რეალთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მოუთმენლად ელის ამ მატჩს და მზად არის, ყველას კიდევ ერთხელ აჩვენოს თავისი შესაძლებლობები: „რეალი უძლიერესი გუნდია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში უდიდესი გამოცდილება აქვს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ლიგის მოგება გვინდა, ნებისმიერი მეტოქე უნდა დავამარცხოთ. ორივე მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია".

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ქალმა მექსიკური კერძის მომზადება გადაწყვიტა და გამდიდრდა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ბერლინგტონის მცხოვრებმა ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, რაც მექსიკური სამზარეულოს კერძის დასამზადებლად პროდუქტების შესაძენად მაღაზიაში წავიდა.

რობინ ჰიკსმა გადაწყვიტა, ფახიტასი მოემზადებინა და აღმოაჩინა, რომ პამიდვრისა და კერძის შიგთავსის ნარევის ყიდვა დავიწყებოდა. ქალი მათ შესაძენად მაღაზიაში დაბრუნდა, გზად კი ლატარიის მაღაზიაში შეიარა, რათა წინა გათამაშებაში მოგებული 50 დოლარი გაენაღდებინა და მომენტალური ლატარიის ახალი ბილეთიც შეეძინა. ნაყიდმა ახალმა ბილეთმა კი მას 250 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

ქალის თქმით, ეს მოგება მას ყველა ანგარიშის გასტუმრებასა და ახალი ცხოვრების დაწყებაში დაეხმარება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

9 მაისისათვის

**ვერძი** – ემოციური დაძაბულობა პარტნიორთან ან ახლობელთან წაგაჩხუბებთ. სერიოზული საქმით ნუ დაკავდებით. **კურო** – ფინანსური პრობლემები გვერდზე დარჩება. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **ტყუპები** – შემოსავალი გეზრდებათ. ელოდეთ ახალ, საინტერესო შემოთავაზებებს. **კირჩხიბი** – შესაძლოა, თქვენთვის ხელსაყრელი სამსახური იშოვოთ. უკმაყოფილო არ დარჩებით. საქმიან ქაღალდებზე ხელმოსაწერად შესაფერისი დღეა. **ლომი** – პარტნიორის ქარაფშუტობა კონფლიქტს გამოიწვევს. ყველანაირად ეცადეთ, სკანდალი თავიდან აირიდოთ. **ქალწული** – გადაღლას ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვება. ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. **სასწორი** – ცვლილებები იწყება. ეს შეეხება როგორც სამსახურს, ისე პირად ცხოვრებას. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. პრობლემები გექმნებათ. ოჯახურ კონფლიქტს მხოლოდ მოთმინებითა და სიყვარულით აიცილებთ თავიდან. **მშვილდოსანი** – წარმატება გელით როგორც პროფესიონალურ სფეროში, ისე პირად ურთიერთობებში. შესაძლოა, დაგაწინაურონ. **თხის რქა** – აქტიურობის დროა. თქვენი მიზანდასახულობა დაფასდება. მთავარია, საქმე პატიოსნად და პასუხისმგებლობით აკეთოთ. **მერწყული** – სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **თევზები** – განსაკუთრებით იღბლიანია დღის მეორე ნახევარი. სანუკვარი ოცნება გისრულდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

●●●

ჩანაწერი სამედიცინო ბარათში:

„ფსიქიკური დაავადება არ აქვს. უბრალოდ სულელია".

●●●

ერთი მეზობლის ვალი აქვს მეორეს, მაგრამ თქმა ეხათრება და ბოლოს ეუბნება:

– როგორი ყინვებია, არა.

– ჰო, ათი გრადუსი მაინც იქნება.

– არადა, ფული რომ გასესხე, როგორ ცხელოდა, ჰო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ სპერმა სპერმის ბანკში უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სისხლი სისხლის ბანკში?

– ხელით ნაკეთებია და იმიტომ.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, ახლად დაქორწინებულები რომ ვიყავით, შენთვის პატარა ნაჭრებს იღებდი, მე კი დიდებს მიტოვებდი, და ახლა აღარ გიყვარვარ?

– ძვირფასო, უბრალოდ, ახლა უკეთესად ამზადებ.

●●●

მოსამართლე ქალს ეკითხება:

– რატომ შორდებით მეუღლეს?

– იმ ბინის პატრონი, რომელიც ორი წელი ნაქირავები გვქონდა და რომლის ფულსაც მე ვიხდიდი, ის ყოფილა.

– მართლა?.. გენიალურია, – წამოიძახა მოსამართლემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ქეთევან საბაძე სომხეთის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს



ქართველი მომღერალი ქეთევან საბაძე სომხეთში გამართულ სომხეთ-საქართველოს მეგობრობის VII საბავშვო-საყმაწვილო შემოქმედებით ფესტივალ „მინორაზე" მიიწვიეს. ფესტივალი როლან რეის ორგანიზებით სომხეთის წმინდა ქალაქ ეჩმიაძინის – კომიტასის საკონცერტო დარბაზსა და ერევნის სუნდუკიანის სახელობის თეატრში ჩატარდა.

საესტრადო ვოკალურ ანსამბლ „იმედის" სოლისტმა, რომლის ხელმძღვანელია კომპოზიტორი და აკადემიკოსი ნიკოლოზ თითირაშვილი, პედაგოგი კი მარიამ სიფრაშვილი, ფესტივალზე ქრისტინა აგილერას, უიტნი ჰიუსტონისა და კონჩიტას სიმღერები შეასრულა. დამსწრე საზოგადოებამ ქართველი მომღერალი მქუხარე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა. მისი გამოსვლა გადაღებულ და გაშვებულ იქნა ერევნის სახელმწიფო სამაუწყებლო ტელევიზიის მიერ. ქეთევან საბაძეს სერიოზული შემოქმედებითი გეგმები აქვს, თუმცა მათზე წინასწარ საუბარი არ სურს და სიურპრიზად ტოვებს. მომღერალი აქტიურად მუშაობს ახალ რეპერტუარზე, რათა მისი წარმატებული გამოსვლებით სხვადასხვა ქვეყნის კონკურსებსა და ფესტივალებზე საქართველოს სახელმა არაერთხელ გაიბრწყინოს.

## „ევროვიზია 2023" საზეიმოდ გაიხსნა



მუსიკალური კონკურსი „ევროვიზია 2023" ლივერპულში საზეიმოდ გაიხსნა. კონკურსანტებისა და საპატიო სტუმრებისთვის გაშლილ ხალიჩაზე პროექტის მონაწილეებმა ეროვნული დროშებით გაიარეს და ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხეს.

საქართველოს წელს „ევროვიზიაზე" ირუ ხეჩანოვი წარადგენს. ის მუსიკალური შოუ „ვოისის" გამარჯვებულია. ქართველმა კონკურსანტმა ევროფესტივალისთვის აგებულ სცენაზე ორი რეპეტიცია უკვე გაიარა. ირუ „ევროვიზიის" მეორე ნახევარფინალში მე-11 ნომრად გიგა კუხიანიძის სიმღერა „ექოს" იმღერებს:

– დიახ, ამ მომენტს მთელი ცხოვრება ველოდი. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქართველოს წარმატება მოვუტანო – თქვენი იმედი მაქვს. დაიმახსოვრეთ – ოცნებები ხდება.

## თემურ თათარაშვილი მონატრებულ მსმენელს შეხვდება



მომღერალი თემურ თათარაშვილი მონატრებულ მსმენელს 11 მაისს ვახტანგ სარალიძის სახელობის საკონცერტო დარბაზში შეხვდება.

„მე სანამ შენამდე მოვედი" – ასე ჰქვია მომღერლის შემოქმედებით საღამოს. მასში თემურ თათარაშვილთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მისი მეგობრები და კოლეგები.

თემურ თათარაშვილი, ძველ და კარგად ნაცნობ ჰიტებთან ერთად, ახალ სიმღერებსაც შეასრულებს.

## ლიზა ბათიაშვილი და ნიკოლოზ რაჭველი გერმანიაში კონცერტებს გამართავენ



მაესტრო ნიკოლოზ რაჭველი და მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი გერმანიაში ერთობლივ კონცერტებს გამართავენ, რომელიც ლიზას ერთ-ერთი ბოლო ალბომის „სითი ლაითის" ევროპული პრემიერა იქნება.

კვირას, 14 მაისს, ლიზა და ნიკოლოზი ბერლინელი მსმენელის წინაშე წარდგებიან, 16 მაისს კი ლუდვიგსბურგის მუსიკალურ ფესტივალში მიიღებენ მონაწილეობას.

**ნიკოლოზ რაჭველი:**

– გერმანიაში მცხოვრებო გულშემატკივრებო, გელოდებით „სითი ლაითის" პრემიერაზე ბერლინში 14 მაისს. ლიზა ბათიაშვილის თხოვნით კიდევ დაემატა გარკვეული რაოდენობის 40–ევროიანი ბილეთები, რათა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს დასწრება. ჩვენთვის დიდი სიხარული იქნება თქვენი ხილვა დარბაზში, ჩვენ კი ნამდვილად დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გაგატანთ შინ. „სითი ლაითის" სცენური ვერსია არის მუსიკალურ-სანახაობრივი პერფორმანსი, რომლის რეჟისურა და ვიდეოკონცეფცია თეონა ჯორბენაძეს ეკუთვნის. თანხლებას გაგვიწევს ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრი და მოწვეული გერმანელი მუსიკოსები. გელოდებით მოუთმენლად! დიდი ბედნიერება იქნება ჩვენთვის დარბაზებში ჩვენი თანამემამულეების ხილვა და სწორედ იმ პროგრამის შესრულება, რომელიც ლიზას შემოქმედებით ბიოგრაფიაში ყველაზე განსაკუთრებული და ყველაზე ეროვნულია, მიუხედავად მრავალი ქვეყნის კომპოზიტორთა საოცარი მუსიკისა, რაც ჩვენს პროექტში სცენაზე აჟღერდება – ბახი, შტრაუსი, ჩაპლინი, ლეგრანი, მორიკონე, პიაცოლა, ყანჩელი და ა.შ.

## უკრაინელი მომღერალი ლობოდა თბილისშია




უკრაინელი მომღერალი სვეტლანა ლობოდა თბილისში ჩამოვიდა. 11 მაისს ხელოვანი დიდ საკონცერტო დარბაზში სოლოკონცერტს გამართავს.

ნიჭიერი მომღერალი და სიმღერების ავტორი, რომელმაც აუდიტორია მთელ მსოფლიოში დაიპყრო, კონცერტზე მისულ საზოგადოებას დაუვიწყარ შოუს ჰპირდება.

უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის შემდეგ ლობოდამ დატოვა რუსეთი და ყველაფერი ნულიდან დაიწყო, მუსიკალურ ინდუსტრიაში დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზა აირჩია: „დღეიდან მე ვარ ახალი, მაგრამ მაინც არ ვეკუთვნი ჩემს თავს, მე ვეკუთვნი ჩემს გულშემატკივრებს, მათ წინაშე ვარ პასუხისმგებელი. მე გამოვდივარ სცენაზე ჩემს ხალხთან".

ლობოდას გულშემატკივრები ამტკიცებენ, რომ მომღერალი ძლიერი თვითშემდგარი პიროვნების, დახვეწილი გემოვნებისა და გამორჩეული სილამაზის წარმატებული კომბინაციაა. მომღერლის ნამუშევრები ყოველთვის მაღალ დონეზეა წარმოდგენილი და ყველა კონცერტი ნამდვილი შოუა. თითოეული სიმღერა სავსეა აზრით, რომელშიც მსმენელი საკუთარ თავს ამოიცნობს.

თბილისურ კონცერტზე წარმოდგენილი იქნება ყველასათვის საყვარელი და ყველაზე პოპულარული ჰიტები და ახალი კომპოზიციები.

უკრაინელი მომღერლის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 60-350 ლარია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოხეტიალე ილუზიონისტი ინდოეთსა და აზიის ქვეყნებში; 2. მთვარიანი ღამე; 3. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. სოფლის პოლიციელი ძველად; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 13. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 14. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 15. გიგანტური აფრიკული ხე; 19. ესპანელი ფერმწერი.

**თარაზულად:** 1. ნაყალბევის შექმნა-გავრცელება; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. მაღალხარისხოვანი სპირტიანი სასმელი; 9. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 10. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 12. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, მდიდრული ცხოვრება; 17. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 18. მდგომარეობა ჭადრაკში; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

